სს ექსპრეს ტექნოლოჯიზ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორი დასკვნა.....3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....5
სრული მოგებისა ან ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....6
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....7
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....8

ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი.....9
2. მომზადების საფუძველი.....9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება.....10
4. მნიშვანელოვნი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....16
5. ძირითადი საშუალებები.....17
6. არამატერიალური აქტივები.....17
7. სასაქონლო-მატერიალური აქტივები.....17
8. წინასწარ გადახდები და სხვა მიმდინარე აქტივები.....18
9. დებიტორული დავალიანებები.....18
10. საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული სახსრები.....18
11. ფული და ფულის ეკვივალენტები.....18
12. კაპიტალი+.....18
13. კრედიტორული დავალიანებები.....19
14. შემოსავალი კლიენტებთან გაფორნებული კონტრაქტებიდან.....19
15. სხვა საოპრაციო შემოსავლი და ხარჯები.....20
16. ხელფასები და თანამშრომელთ სხვა სარგებელი.....20
17. დაბეგვრა.....20
18. ფინანუსრი ინსტრუმენტებისგან წარმოქმნილი რისკი.....20
19. დაკავშირებული მხარის გარიგებები.....21
20. მოვლენები საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.....22

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად - „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისა და ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შესრულებული გვაქვს ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვნი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია ჯგუფის ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილის კონცენტრაცია დაკავშირებულ მხარეებთან.

ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის მოდიფიცირებული.

სხვა გარემოება

კომპანიისა და ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის განახორციელა სხვა აუდიტორმა, რომელმაც 2018 წლის 18 სექტემბერს გამოსცა არამოდიფიცირებული მოსაზრება შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად თანხვდენილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის

თუ არა შესაბამისობაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებითად მცდარია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, მმართველობის ანგარიშში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვდენილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ სქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიისა და ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიისა და ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის/ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები ზედამხედველობენ კომპანიისა და ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებასა და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის

აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიისა ან ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ან ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია ან ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებით შენიშვნებსა და ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით,

2019 წლის 19 სექტემბერი

2018 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით მოგება/ზარალის და სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

(ათასი ქართული ლარი)

	შენიშვნები	*31 დეკ 2018*	*31 დეკ 2017*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	26,324	17,276
არამატერიალური აქტივები	6	6,349	4,938
გადახდილი ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	8	2,193	308
		34,866	**22,522**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	3,710	2,002
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	8	1,415	1,576
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		27	31
დებიტორული დავალიანება	9	1,903	1,670
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	10	1,037	1,572
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	33,156	43,534
		41,248	**50,385**
სულ აქტივები		**76,114**	**72,907**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	23,316	23,316
დამატებითი შენატანები კაპიტალში	12	4,257	4,257
გაუნაწილებელი მოგება		9,256	4,682
ჯგუფის აქციონერებზე მიკუთვნებადი მთლიანი კაპიტალი		**36,829**	32,255
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელები		145	136
სულ კაპიტალი		**36,974**	**32,391**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		4,450	-
		4,450	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	13	30,270	39,800
მიღებული ავანსები		4,372	662
გადასახდელი დივიდენდები		33	33
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		15	21
		34,690	**40,516**
სულ ვალდებულებები		**39,140**	**40,516**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**76,114**	**72,907**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 1-28 გვერდებზე, სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 19 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით::

ირაკლი კოდუა — აღმასრულებელი დირექტორი

19 სექტემბერი 2019

თანდართული შენიშვნები 9-28 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგება/ზარალის და სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

(ათასი ქართული ლარი)

	შენიშვნები	*2018*	*2017*
შემოსავალი ფინანსური ოპერაციების დამუშავებიდან		24,537	18,574
შემოსავალი ტექმომსახურებიდან		1,246	1,382
საკომისიო გაყიდვებიდან და სატრანსპორტო ბარათების შემოღებიდან		677	430
შემოსავალი სატრანსპორტო განყოფილებიდან		492	-
შემოსავალი პერსონალიზაციის მომსახურებებიდან		482	554
სულ შემოსავლები	14	**27,434**	**20,940**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	15	2,152	2,696
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა ანაზღაურება	16	(10,481)	(8,808)
იჯარა		(2,086)	(1,715)
ცვეთა და ამორტიზაცია	5, 6	(4,353)	(3,768)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(7,547)	(6,790)
საოპერაციო შემოსავალი		**5,119**	**2,555**
პროცენტიდან შემოსავალი		63	52
საპროცენტო ხარჯი		(525)	(9)
საკურსო ზარალი		(74)	192
მოგება დაბეგვრამდე		**4,583**	**2,790**
მოგების გადასახადის ხარჯები	17	-	–
სულ წლის მთლიანი მოგება		**4,583**	**2,790**
მიკუთვნებული:			
მშობელი კომპანიის აქციონერები		4,574	2,781
არაკონტროლირებადი მონაწილეობის წილი		9	9
საბაზისო და განზავებულ მოგებები აქციაზე ლარში	12	0.20	0.12
სხვა სრული(ზარალი)/შემოსავალი რეკლასიფიცირებული უნდა იყოს მოგებასა ან ზარალში მომდევნო პერიოდებში			
- (ზარალი) / მოგება სავალუტო სხვაობიდან		-	(50)
სუფთა სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი		-	**(50)**
სულ წლის სრული შემოსავალი		**4,583**	**2,740**
სულ სრული შემოსავალი მიკუთვნებული:			
მშობელი კომპანიის აქციონერები		4,574	2,731
არაკონტროლირებადი მონაწილეობის წილი		9	9

თანდართული შენიშვნები 9-28 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

(ათასი ქართული ლარი)

	საქციო კაპიტალი	აქციაზე პრემია	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	არაკონტროლირებადი წილი	სულ
1 იანვარი 2017	23,316	4,257	50	1,901	130	29,654
პერიოდის მოგება	–	–	–	2,781	9	2,790
სხვა სრული ზარალი	–	–	(50)	–	–	(50)
აქციების შეძენა არსებულ შვილობილ კომპანიებში	–	–	–	–	(3)	(3)
31 დეკემბერი 2017	23,316	4,257	–	4,682	136	32,391
პერიოდის მოგება	-	-	-	4,574	9	4,583
31 დეკემბერი 2018	23,316	4,257	-	9,256	145	36,974

თანდართული შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

8

2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

(ათასი ქართული ლარი)

	შენიშვნები	2018	2017
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		4,583	2,790
კორექტირება დაბეგვრამდე სუფთა ფულადი სახსრების ნაკადთან შედარება:			
ცვეთა და ამორტიზაცია		4,353	3,768
სუფთა ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	15	(438)	15
სუფთა მოგება აღდგენილი მომსახურებების და მოწყობილობის გაყიდვიდან	15	-	(182)
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
სასაქონლო-მატერიალური მარაგების კლება		(1,708)	226
ავანსები და სხვა არსებული აქტივების კლება		161	106
(ზრდა)/კლება დებიტორულ დავალიანებებში		(233)	(295)
კრედიტორული დავალიანებებისა და სხვა ვალდებულებების ზრდა		(1,366)	11,149
სუფთა ფულადი სახსრების ნაკადები საშემოსავლოს დაბეგვრამდე საოპერაციო საქმიანობიდან		5,352	17,577
გადახდილი პროცენტი		-	(9)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი		(6)	(51)
სუფთა ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		5,346	17,517
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები ნაკადი			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(17,948)	(6,099)
მოგება ძირითადი საშუალებებისა და მოწყობილობის გაყიდვიდან		1,689	1,591
(საკრედიტო ინსტიტუტებში თანხების (განთავსება)/გამოტანა		535	(1,042)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული სუფთა თანხა		(15,724)	(5,550)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრების ნაკადი			
გადახდილი დივიდენდები		-	(1)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული სუფთა თანხა		-	(1)
სუფთა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(10,378)	11,966
სუფთა სავალუტო სხვაობა		-	(51)
ფული და ფულის ეკვივალენტები, დასაწყისი	11	43,534	31,619
ფული და ფულის ეკვივალენტები, დასასრული	11	33,156	43,534

თანდართული შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის

(ათასი ქართული ლარი თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. შესავალი

სს ექსპრეს ტექნოლოჯიზ („კომპანია") არის 2007 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული სააქციო საზოგადოება, რომლის მისამართია საქართველო, თბილისი ბელაშვილის ქ. 106. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს კომპანიას და მის შვილობილ კომპანიებს (ერთობლივად მითითებული „ჯგუფი"). ჯგუფის მთავარი საქმიანობა მოიცავს თვითმომსახურების ტერმინალის ქსელურ ოპერაციებს, ტექმომსახურებას და ოპერაციების დამუშავებას, ტარიფის ამოღების სისტემის ოპერაციას და ტექმომსახურებას საჯარო ტრანსპორტირების ქსელის და პერსონალიზაციის მომსახურებების საშუალებით.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას სრულად ფლობდა სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ" ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ ფლობდნენ ჯგუფის აქციებს.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის BGEO Group PLC, გაერთიანებული სამეფოს საფონდო ბირჟაზე დაფუძნებული კომპანია.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები ჯერ არ არის დამტკიცებული აქციონერების მიერ. აქციონერებს აქვთ უფლება შეცვალონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების გაცემის შემდგ.

შვილობილი კომპანიები

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ შვილობილ კომპანიებს შემდეგი ეფექტური წილობრივი მონაწილეობით:

შვილობილი კომპანია	*2018*	*2017*	*ქვეყანა*	*Industry*
სს ჯორჯიან ქარდი	99.46%	99.46%	საქართველო	დამუშავება და პერსონალიზაციის მომსახურებები
შპს დაირექტ დებიტ ჯორჯია	99.46%	99.46%	საქართველო	თვითმომსახურების ტერმინალური ქსელის ოპერაციები, ტექმომსახურება და მიღების პროცესში ინფორმაციის დამუშავება
შპს მეტრო სერვის +	100.00%	100.00%	საქართველო	ტარიფის მოსკრეფი სისტემის მუშაობა და ტექმომსახურება საჯარო სატრანსპორტო ქსელის საშუალებით
შპს დიდი დიღმის კვლევითი ცენტრი	100.00%	100.00%	საქართველო	მონაცემთა გაცვლა თბილისის მეტროში მისი ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის გამოყენებით, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებით

2016 წლის აპრილში, ჯგუფმა დაამტკიცა უნგრეთში მის შვილობილ კომპანიაში LLC Express Technologies CEE 100%-ის მფლობელობის ლიკვიდაციის გადაწყვეტილება, რომელიც ოფიციალურად დაიხურა 2017 წლის ოქტომბერში.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (`ფასს~) შესაბამისად, რომელიც გაცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (`ბასს") მიერ.
წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული მთავარი საბუღალტრო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა მუდმივად გამოიყენება ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით.
ეს ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ათას ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

მოქმედი საწარმო

ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭომ შეაფასა ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც მოქმედმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. უფრო მეტიც ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს ჯგუფის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით. ამიტომ, ფინანსური ანგარიშგებების მომზადებულია მოქმედი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

გაერთიანების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ჯგუფის და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად „ჯგუფი“) ფინანსური ანგარიშგებების 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით. კონსოლიდაცია შვილობილებთან ხორციელდება კონტროლის არსებობის დროს. კონტროლი ხორციელდება, როცა ჯგუფს აქვს ინვესტიციის ობიექტში ჩართულობის შედეგად ცვლადი უკუგების უფლება და აქვს უნარი გავლენა მოახდინოს ამ უკუგებებზე საინვესტიციო ობიექტზე მისი უფლების გამოყენებით. განსაკუთრებით ჯგუფი აკონტროლებს საინვესტიციო ობიექტს მხოლოდ მაშინ, თუ ჯგუფს აქვს:

- საინვესტიციო ობიექტზე უფლება (ე.ი. არსებული უფლებები, რომელიც აძლევს მას შესაძლებლობას მართოს საინვესტიციო ობიექტის შესაბამისი საქმიანობა).
- უფლებები საინვესტიციო ობიექტში მისი ჩართულობის შედეგად ცვლად უკუგებებზე, და
- შესაძლებლობას გამოიყენოს საინვესტიციო ობიექტზე მისი უფლება, რომელიც გავლენას ახდენს მის უკუგებებზე.

როცა ჯგუფს აქვს ხმის უფლების მქონე უმრავლესობაზე ნაკლები ან საინვესტიციო ობიექტის მსგავსი უფლებები, ჯგუფი ითვალისწინებს ყველა შესაბამის ფაქტსა და გარემოებას იმის შეფასებისას, აქვს თუ არა მას უფლება საინვესტიციო ობიექტზე, მათ შორის:

- საკონტრაქტო შეთანხმება საინვესტიციო ობიექტის ხმის უფლების მქონე მფლობელებთან;
- სხვა საკონტრაქტო შეთანხმებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- ჯგუფის ხმის უფლება და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ის საინვესტიციო ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები მიუთითებს, რომ არსებობს კონტროლის ერთი ან მეტი, სამი ელემენტის ცვლილებები. შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება, როცა ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და შეწყვეტს ამ კონტროლს როცა ჯგუფი დაკარგავს შვილობილ კომპანიაზე კონტროლს. წლის განმავლობაში შეძენილი ან გაყიდული შვილობილი კომპანიის აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები შეტანილია ყოვლისმომცველი შემოსავლის ანგარიშში ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების თარიღიდან, ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის კონტროლის შეწყვეტის თარიღამდე..

შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია იმავე საანგარიშგებო პერიოდისთვის რაც მამობილი კომპანიის შემთხვევაში. მუდმივი საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით, ყველა ჯგუფის შიგნით არსებული ნაშთი, ოპერაცია, არარეალიზებული მოგება და დანაკარგი, რომელიც წარმოიქმნა ჯგუფის შიგნით ოპერაციების და დივიდენდების შედეგად, სრულად არის გაუქმებული.

მოგება ან ზარალი და სხვა ყოვლისმომცველი შემოსავლის თითოეული კომპონენტი უკავშირდება ჯგუფის მთავარი კომპანიის კაპიტალის მფლობელებს და არაკონტროლირებად წილების, მაშინაც კი, თუ ეს გამოიწვევს დეფიციტური ბალანსის მქონე არაკონტროლირებადი წილების წარმოქმნას.

როცა აუცილებელია, შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშებში ხორციელდება კორექტირებები, რათა მათი საღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის შიგნით ყველა აქტივი და ვალდებულება, წილი, შემოსავალი, დანახარჯი და ფულადი ნაკადები, რომლებიც უკავშირდება ჯგუფის წევრებს შორის ტრანზაქციებს სრულად გაუქმდება კონსოლიდაციის დროს.

შვილობილ კომპანიაში წილის მფლობელობაში ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე, ჩაითვლება როგორც სააქციონერო კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაცია. თუ ჯგუფი კარგავს შვილობილ კომპანიაზე კონტროლს, ის:

- ჩამოწერს შვილობილი კომპანიის აქტივებსა (მათ შორის გუდვილი) და ვალდებულებებს ბალანსიდან;
- ჩამოწერს ბალანსიდან ნებისმიერი არაკონტროლირებადი წილების საბალანსო ღირებულებას
- ჩამოწერს ბალანსიდან კაპიტალში რეგისტრირებულ კუმულაციური სავალუტო ოპერაციებიდან სხვაობას
- აღიარებს მიღებული უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებას
- აღიარებს შენარჩუნებული ნებისმიერი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას
- აღიარებს მოგებასა ან ზარალში ნებისმიერ ნამეტს ან დეფიციტს
- ახორციელებს მთავარი კომპანიის კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას, რომლებიც ადრე აღიარებული იყო მოგების ან ზარალის ყოვლისმომცველ შემოსავალში ან გაუნაწილებელ მოგებებში, რომელიც საჭირო იქნება, თუ ჯგუფმა უშუალოდ გაყიდა დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

საბრუნავი -კაპიტალური აქტივების კლასიფიკაცია

ჯგუფი წარმოადგენს აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საბრუნავი/კაპიტალური აქტივების კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი საბრუნავია, როცა ის :

- მოსალოდნელია რომ იქნება რეალიზებული ან გამიზნულია გასაყიდად ან მოსახმარებლად ნორმალური საოპერაციო ციკლის დროს
- არის მფლობელობაში უპირველეს ყოვლის ვაჭრობის მიზნით
- მოსალოდნელია, რომ რეალიზებული იქნება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში.
- ფული და ფულის ეკვივალენტები, თუ აკრძალული არ არის გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვე.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალური.

ვალდებულება მიმდინარეა, როცა:

- მოსალოდნელია, რომ მისი დაფარვა მოხდება ნორმალური საოპერაციო სოკლის ფარგლებში
- არის მფლობელობაში უპირველეს ყოვლის ვაჭრობის მიზნით
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- არ არის უპირობო უფლება გადაიდოს ვალდებულების დაფარვა საგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით.

ჯგუფი ახდენს ყველა სხვა ვალდებულების არა მიმდინარე ვალდებულებად კლასიფიკაციას. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც არა მიმდინარე აქტივები და ვალდებულებები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივებში შედის ლიცენზიები. არამატერიალური აქტივები იზომება თვითღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური არქივები ასახულია ფაქტობრივი ღირებულებით შეძენისას, გამოკლებული ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაცია და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია ასეთი აქტივების 5-დან 10 წლამდე ექსპლუატაციის ვადაში ამორტიზებული და შეფასებულია გაუფასურება როცა არსებობს ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივი შეიძლება გაუფასურდეს. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდები კონკრეტული ექსპლუატაციის ვადით მოწმდება სულ მცირე თითოეული ფინანსური წლის ბოლოს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით გარდა მიწისა, საოფისე შენობების და მომსახურების ცენტრების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების მოცულობა. ამგვარი თანხა მოიცავს ძირითადი საშუალებების ჩანაცვლების ღირებულებას, როდესაც ხარჯი წარმოიშობა თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

გაუფასურების შედეგად დანაკარგები აღიარებულია მოგებასა ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯების ფარგლებში. რემონტსა და განახლებებზე დანახარჯები დაირიცხება, მათი წარმოიქმნისას და მოიცავს სხვა საოპერაციო დანახარჯებს თუ ისინი განკუთვნილია კაპიტალიზაციისთვის.

აქტივის ცვეთა იწყება, როცა ხდება მისი გამოყენება. ცვეთა გაანგარიშდება სწორხაზოვანი მეთოდის საფუძველზე შემდეგ შეფასებული საექსპლუატაციო პერიოდში:

	წლები
თვითმომსახურების ტერმინალები და სათადარიგო ნაწილები	10
შენობები	100
ავეჯი და საოფისე მოწყობილობა	10
კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა	5
ავტომობილები	5
ლიზჰოლდის სახეცვლილებები	5
სხვა მოწყობილობა	5

თვითმომსახურების ტერმინალები და სათადარიგო ნაწილები შეიძლება მოიცავდეს დაუმონტაჟებელ მთავარ სათადარიგო ნაწილებს. ეს აქტივები ამორტიზდება თვითმომსახურების ტერმინალებზე მათი მონტაჟის შემდეგ.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება მათი გაყიდვის შემდეგ ან როცა მისი გამოყენებით ან გაყიდვით მისგან მოსალოდნელი აღარ არის რაიმე სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება აქტივის ჩამოწერის შედეგად, (გაანგარიშებული როგორც სხვაობა სუფთა გაყიდვიდან შემოსავალსა და აქტივი საბალანსო ღირებულებას შორის) შეტანილია მოგებასა ან ზარალში პერიოდში როცა მოხდა ამ აქტივის ჩამოწერა.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო -მატერიალური მარაგები მოიცავს სათადარიგო ნაწილებს და სხვა საგნებს და შეფასებულია უფრო დაბალი ღირებულებით და სუფთა რეალიზებული ღირებულებით. სასაქონლო -მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს, რომელიც წარმოიქმნა სასაქონლო -მატერიალური მარაგების შეძენისას და მათი არსებულ ლოკაციასა და პირობებში მიტანას.

ფინანსური ინსტრუმენტები -თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოქმნის ფინანსურ აქტივს ერთ ორგანიზაციაში და ფინანსურ ვალდებულებას ან სხვა ორგანიზაციის წილობრივ ინსტრუმენტს.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები ენაცვლება ბასს 39-ს: ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება და 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდისთვის, რომელიც აერთიანებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის ყველა სამ ასპექტს: კლასიფიკაცია და შეფასება; გაუფასურება; და ჰეჯირების აღრიცხვა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიამ და ჯგუფმა გამოიყენა ფასს 9 რეტროსპექტულად, პირველი გამოყენების თარიღი: 2018 წლის 1 იანვარი. ახალი სტანდარტის მიღებამ მნიშვნელოვანი გავლენა არ მოახდინა კომპანიისა და ჯგუფის ფინანსურ გაანგარიშებებზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობთ.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება თავდაპირველი აღიარების დროს, რომელიც შემდეგ იზომება ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, და სამართლიანი ღირებულებით მოგებას და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის საკონტაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე და მათ მართვასთან დაკავშირებით კომპანიისა და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე. გარდა სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ და ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული გამოცდილება, კომპანია და ჯგუფი თავდაპირველად აფასებს ფინანსურ აქტივს თავისი სამართლიანი ღირებულებით, პლიუს, სამართლიანი ღირებულების გარეშე ფინანსური აქტივების შემთხვევაში მოგებასა ან ზარალში, დანახარჯები გარიგებებზე.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ და ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული გამოცდილება იზომება ფასს 15-ის შესაბამისად განსაზღვრულ გარიგების ფასად.

იმისთვის, რომ ფინანსური აქტივები კლასიფიცირებული და შეფასებული იყოს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, მან უნდა წარმოქმნას ფულადი სახსრების ნაკადები, რომლებიც „არის მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდები“ (SPPI) გადაიხდება ძირ თანხაზე, ეს შეფასება მითითებულია როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური მართვის ჯგუფის ბიზნეს მოდელი მიუთითებს როგორ მართავს ის ფინანსურ აქტივებს საიმისოდ, რომ წარმოიქმნას ფულადი სახსრების ნაკადები. ეს ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს წარმოიქმნა თუ არა ფულადი სახსრების ნაკადები კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი სახსრების ნაკადის მოგროვების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად. ფინანსური აქტივების ყიდვა ან გაყიდვა, რომელიც მოითხოვს აქტივის მიწოდებას რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ დროში (რეგულარული ვაჭრობა) აღიარებულია ვაჭრობის დღეს, ე.ი. დღეს, როცა ჯგუფი ახორციელებს აქტივის შესყიდვას ან გაყიდვას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით (სავალო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით სხვა მთლიან შემოსავალში კუმულაციური მოგებისა და დანაკარგების ხელმეორედ გამოყენებით (სავალო ინსტრუმენტები)

• ფინანსური აქტივები განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში კუმულაციური მოგებისა და დაწაკარგების განმეორების გარეშე ჩამოწერის შემდეგ (წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტები)

• ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებასა ან ზარალში.

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით (სავალო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე რელევანტურია ჯგუფისთვის. ჯგუფი აფასებს ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით თუ ქვემოთ მითითებული ორივე პირობა შესრულდება:

• ეს ფინანსური აქტივი მოქცეულია ბიზნეს მოდელის ფარგლებში ფინანსური აქტივების ფლობის მიზნით საიმისოდ, რომ მოგროვდეს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი სახსრების ნაკადები; და

• ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები იწვევს ფულადი სახსრების ნაკადების წარმოქმნას კონკრეტულ თარიღებში, რომელიც მოიცავს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირ თანხაზე გადაუხდელი პროცენტის გადახდებს.

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით შემდეგში ფასდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგებები და დანაკარგები აღიარებულია მოგებას ან ზარალში, როცა აქტივი ჩამოიწერება, მოდიფიცირდება ან გაუფასურდება. ჯგუფის ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გაწეული მომსახურებებისა და მიწოდებული საქონლისთვის კლიენტებისგან მისაღები თანხები. თუ თანხების მოგროვება ნავარაუდევია ერთ ან ნაკლებ წელიწადში (ან თუ უფრო დიდხანს, ნორმალური საოპერაციო ციკლში), ისინი კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე აქტივები. თუ არა, მაშინ ისინი წარმოდგენილია როგორც არამიმდინარე აქტივები.

ფინანსური აქტივების ჩამოწერა

ფინანსური აქტივი (ან თუ გამოიყენება) ფინანსური აქტივის ნაწილი ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილი) ძირითადად ჩამოწერილია (ე.ი. ამოღებულია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშიდან), როცა:

• აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადის მიღების უფლებები ამოიწურება; ან

• ჯგუფმა გადასცა მესამე მხარეს სატრანზიტო შეთანხმების საშუალებით ფულადი სახსრების ნაკადის მიღების თავისი უფლება ან აიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფულადი სახსრების ნაკადი სრულად მნიშვნელოვანი დაგვიანების გარეშე; და ან (ა) ჯგუფმა არსებითად გადასცა ყველა რისკი და აქტივიდან შემოსავალი, ან (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც შეინარჩუნა არსებითად აქტივის ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივის კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტთან დაკავშირებით, რომელიც არ არის ფლობილი სამართლიანი ღირებულებით მოგებას ან დანაკარგში. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი ეფუძნება სხვაობას კონტრაქტის შესაბამისად მისაღებ საკონტრაქტო ფულადი სახსრების ნაკადსა და ყველა ფულადი სახსრების ნაკადს შორის, რომელსაც ჯგუფი მოელის რომ მიიღებს დაახლოებით თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთამდე დისკონტირებული სახით. მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადები მოიცავს ფულადი სახსრების ნაკადებს ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების ინსტრუმენტებიდან, რომლებიც წარმოადგენს საკონტრაქტო პირობების განუყოფელ ნაწილს.

.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი აღიარებულია ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომლისთვისაც არ არის მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი მისი თავდაპირველი აღიარებიდან, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვები წარმოდგენილია საკრედიტო დანაკარგებისთვის, რომელიც წარმოიქმნება დეფოლტის შემთხვევაში, რომელიც შესაძლებელია მომდევნო

12 თვის განმავლობაში (12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი). იმ საკრედიტო რისკებთან დაკავშირებით, რომლებშიც მნიშვნელოვანი ზრდა იყო თავდაპირველი აღიარების შემდეგ, დანაკარგის რეზერვი მოთხოვნილია საკრედიტო დანაკარგებისთვის, რომელბიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ ვადაში, დეფოლტის შემთხვევის მიუხედავად (მომსახურების ვადიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი).

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებასა და საკონტრაქტო აქტივებთან დაკავშირებით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის გასაანგარიშებლად ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას. ამიტომ, ჯგუფი თვალყურს არ მიადევნებს ცვლილებებს საკრედიტო რისკში, მაგრამ ამის ნაცვლად აღიარებს დანაკარგის რეზერვს (მომსახურების ვადიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის საფუძველზე თითოეულ საანგარიშგებო თარიღისთვის). ჯგუფმა განსაზღვრა უზრუნველყოფის ცხრილი, რომელიც ეფუძნება მის ისტორიული საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებას, რომელიც კორექტირებულია მოვალეებისთვის და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელ მომავლზე გათლილ ფაქტორებზე დაყრდნობით.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია თავდაპირველი აღიარებისას როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგებასა ან ზარალში, კრედიტების და სესხები, კრედიტორული დავალიანებები, ან წარმოებულები განსაზღვრული როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები ეფექტურ ჰეჯირებაში.

ყველა ფინანსური ვალდებულება აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და კრედიტების და სესხების და კრედიტორული დავალიანებების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებული საოპერაციო ხარჯების გარეშე.

ჯგუფის ფინანსური ვადებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს, კრედიტებს და სესხებს მათ შორის ბანკის ოვერდაფტებს.

შემდგომი შეფასებები

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ:

კრედიტების და სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი კრედიტები და სესხები შემდეგში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებები და ზარალი აღიარებულია მოგებასა ან ზარალში, როცა ვალდებულებები ჩამოიწერება ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაციის პროცესის საშუალებით. ამორტიზებული ღირებულება გაანგარიშდება ნებისმიერი დისკაუნტის, შეძენისას პრემიის და საკომისიოების ან ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაცია შეტანილია როგორც ფინანსური ხარჯები მოგებასა ან ზარალის ანაგრიშგებაში. ეს კატეგორია ზოგადად გამოიყენება პროცენტიანი კრედიტებისა და სესხების მიმართ. .

ჩამოწერა

ფინანსური ვალდებულებები ჩამოიწერება, როცა ვალდებულებით გათვალისწინებული მოვალეობები შესრულებულია ან გაუქმდება ან ვადა ამოეწურება, როცა არსებული ფინანსური ვალდებულებები ჩანაცვლდება იმავე გამსესხებლისგან სხვა ვალდებულებით არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად მოდიფიცირებულია, ასეთი გაცვლა ან მოდიფიკაცია განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების ჩამოწერა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებაში სხვაობა აღიარებულია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში

ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში წარმოდგენილია თვითღირებულებით გამოკლებული გაუფასურების რეზერვი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ჯგუფი აფასებს შვილობილ კომპანიებში ინვესტიციების აღდგენადობას როცა კი არსებობს გაუფასურების მინიშნება. გაუფასურების მინიშნებები შეიძლება მოიცავდეს შემოსავლების კლებას ან ფულადი სახსრების ნაკადების კლებას ან ოპერატორის ქვეყანაში მნიშვნელოვან უარყოფით ცვლილებებს ეკონომიკაში ან პოლიტიკურ სიტუაციაში. რაც შესაძლოა მიანიშნებდეს, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ ექვემდებარება აღდგენას, თუ ფაქტები და გარემოებები მიანიშნებს, რომ შვილობილ კომპანიაში ინვეტიცია შეიძლება გაუფასურდეს, შესაბამის ინვესტიციასთან დაკავშირებული შეფასებული მომავალი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები დარდება მათ საბალანსო ღირებულებას, რათა განისაზღვროს აუცილებელია თუ არ ანაზღაურებადი ღირებულების ჩამოწერა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება გაგზავნილი თანხებისგან, ბანკებში არსებული ნაღდი ფულისგან, სალაროში ნაღდი ფულისგან და მოკლევადიანი სამთვიანი დაფარვის ვადის მქონე დეპოზიტებისგან, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება შესაბამის თანხებში, ღირებულების ცვილების რისკი უმნიშვნელოა და თავისუფალია დატვირთვებისგან.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ინკასატორის თანხებს და ბანკში არსებულ თანხებს, ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ფულადი ნაშთი წარმოადგენს ფიზიკური პირის მიერ გადახდილ თანხას, რომელიც გადახდილია თვითმომსახურების ტერმინალში ან სალაროში ან გადაირიცხება ჯგუფის საბანკო ანგარიშზე ასეთი თვითმომსახურების ტერმინალიდან ან სალაროდან. იმავდროულად თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროს გამოყენებით გადახდილი თანხას დაკავშირებული მხარის ბანკი ურიცხავს გამყიდველს, რაც იწვევს ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ კრედიტორული დავალიანებების აღიარებას.

ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ინკასატორის თანხები თავდაპირველად განთავსებულია ჯგუფის საბანკო ანგარიშზე, რომელიც გახსნილია დაკავშირებული მხარის ბანკში და შემდეგ გამოიყენება დაკავშირებული მხარის ბანკის მიმართ მონაცემთა დამუშავების ვალდებულებების შესასრულებლად მომდევნო სამ დღეში.

დაბეგვრა

ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა სხვა ორგანიზაციების მიერ მიღებული წლიური მოგება არ იბეგრება საქართველოში 2017 წლის 1 იანვრიდან (შენიშვნა 17). კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება დივიდენდზე და იბეგრება დივიდენდის სახით აქციონერებზე განაწილებულ დივიდენდებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არ არიან საქართველოს რეზიდენტები, სუფთა მოგების განაწილების 15/85 განაკვეთით.

დივიდენდების გადახდის შედეგად წარმოქმნილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი ითვლება ვალდებულებად და ხარჯად პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა დივიდენდი, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, როცა ხდება დივიდენდების გადახდა გარკვეულ გარემოებებში, საშემოსავლო გადასახადიდან გადასახდელი თანხიდან დაქვითვები ხდება და შესაბამის მოგების

განაწილებასთან დაკავშირებული საშემოსავლო გადასახადის შემცირდება, საქართველოს საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიქმნება საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციებისთვის. ჯგუფის აქციონერზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით გადასახადის დაკავება აღიარებულია როგორც კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში კაპიტალიდან დაქვითვა, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გარკვეულ ტრანზაქციებზე კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის დაწესებას, რომლებიც ითვლება მოგების განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასებში, ბიზნესთან არ დაკავშირებულ ხარჯები ან საქონლის და მომსახურებების მიწოდება უფასოდ). ასეთი ტრანზაქციების დაბეგვრა მიიჩნევა საოპერაციო გადასახადების მსგავსად და წარმოდგენილია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეზერვები და გაუთვალისწინებელი ხარჯები

რეზერვები აღიარებულია როცა ჯგუფს აქვს არსებული კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, და აშკარაა, რომ რესურსების გადინება, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს, საჭირო იქნება ვალდებულებების შესასრულებლად და უნდა გაკეთდეს ვალდებულების საიმედო გაანგარიშებული ფასები.

გაუთვალისწინებელი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ წარმოდგენილია, თუ შესრულების დროს ნებისმიერი გადინების შესაძლებლობა შორეული საკითხია. გაუთვალისწინებელი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ წარმოდგენილია, როცა ეკონომიკური სარგებელის შედინება შესაძლებელია.

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. გაცემული აქციის ნომინალური ღირებულებაზე მეტი სიდიდის მიღებული უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება, აღიარებულია როგორც აქციაზე პრემია.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი ფასდება კლიენტებთან გაფორმებულ კონტრაქტებში მითითებული თანხის საფუძველზე და გამორიცხავს მესამე მხარეების სახელით მოგროვილ თანხებს. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როცა ის გადასცემს პროდუქტებსა ან მომსახურებაზე კონტროლს კლიენტს.

მრავალელემენტიანი შეთანხმებებისთვის, ჯგუფი ითვალისწინებს ინდივიდუალურ მომსახურებას ცალკე, თუ ისინი განსხვავებულია. თანხა განაწილებულია ცალკეულ მომსახურებებს შორის მათ ცალკეული გაყიდვის ფასებით. ცალკეული გაყიდვის ფასები განისაზღვრება ფასების ჩამონათვალის საფუძველზე, რომლითაც ჯგუფი ყიდის თავის ტრანსაქციების დამუშავების და ტექმომსახურების მომსახურებებს.

კომპანიამ და ჯგუფმა ადრე მიიღო ფასს 15 *შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან* , 2016 წლის 1 იანვრიდან.

შემოსავლების აღიარებამდე ქვემოთ ჩამოთვლილი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმი ასევე უნდა შესრულდეს:

შემოსავალი მიღების პროცესში მიმდინარე ინფორმაციის დამუშავებიდან

ჯგუფი უზრუნველყოფს ტრანზაქციის მონაცემების დამუშავების მომსახურებებს, რომელიც მოიცავს ფიზიკური პირისგან მიღებული ფულადი თანხებს თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროს საშუალებით მოვაჭრის მიერ მოწოდებულ მომსახურებებთან დაკავშირებით და ასეთი ფულადი თანხების

შემდგომი გადარიცხვა დაკავშირებული მხარის ბანკში, რომელიც იმავდროულად აფინანსებს მოვაჭრეს თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროში გადახდის ტრანზაქციის დასრულებასთან ერთად.

შემოსავალი ტრანზაქციის მონაცემების დამუშავების შედეგად წარმოიქმნება მომსახურებებით, რომელთა ფასი წარმოდგენილია როგორც ტრანზაქციის ღირებულების პროცენტი ან თითოეულ ტრანზაქციაზე კონკრეტული საკომისიო. ასეთი შემოსავალი აღიარებულია აღნიშნული ტრანზაქციის დასრულებასთან დაკავშირებით ვალდებულებების შესრულების შემდეგ.

შემოსავალი პერსონალიზაციის მომსახურებებიდან

ჯგუფის შემოსავალი პერსონალიზაციის მომსახურებებიდან მოიცავს პლასტიკური ბარათების გაცემას და პერსონალიზაციას ან პლასტიკურ ბარათებს ფინანსური და არაფინანსური ინსტიტუტებისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავალი ტექმომსხურებებიდან

ჯგუფი უზრუნველყოფს ტექმომსახურებებს დაკავშირებული მხარის ბანკისთვის, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი თვითმომსახურების ტერმინალები. ჯგუფი ვალდებულებას იღებს შეაკეთოს კონკრეტული მოწყობილობა გაუმართაობის შემდეგ, ყოველთვიურ ფიქსირებულ ფასად თითოეულ თვითმომსახურების ტერმინალზე. შესაბამისად, შემოსავალი ტექმომსახურებებიდან წარმოიქმნება მომსახურებების გაწევის კონკრეტულ დროის პერიოდში. რომელიც არ არის წარმოქმნილი ფაქტობრივად გაწეული ტექმომსახურების შედეგად. ვალდებულებები სრულდება და შემოსავალი აღიარებულია კონტრაქტის ვადაში დროის გასვლის საფუძველზე.

საკომისიოები სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და შემოღებიდან

ჯგუფი ყიდის და წერგავს არაპერსონალიზებულ სატრანსპორტო ბარათებს ფიზიკურ პირებზე მუნიციპალური ორგანოების მიერ დამტკიცებულ ფიქსირებულ ფასად. სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და დაწერგვიდან შემოსავალი აღიარებულია ამ ბარათების გაყიდვის დროს, რადგან ჯგუფს არ აქვს რაიმე შესრულების ვალდებულება გარდა საზოგადოებრივი სატრანსპორტო გადახდის სისტემაში სატრანსპორტო ბარათის გაყიდვისა და დაწერგვისა. საკომისიო სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და დაწერგვიდან წარმოადგენს შესაბამის შემოსავალს პლასტიკური ბარათების შესაბამისი ღირებულების გარეშე, რადგან ჯგუფი აფასებს თავის ქმედებებს როგორც ასეთი ტრანზაქციების აგენტი (ასევე იხილეთ შენიშვნა 15)

პროცენტიდან შემოსავალი

ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებით, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, კლასიფიცირებულია როგორც დებიტორული დავალიანებები, პროცენტიდან შემოსავალი დაფიქსირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ექსპლუატაციის მოსალოდნელი მომავალი ფულადი შემოსულობების ფინანსური აქტივის სუფთა საბალანსო ღირებულებამდე დისკონტირების საპროცენტო განაკვეთი, პროცენტიდან შემოსავალი შეტანილია მოგებასა ან ზარალში.

ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტაა ლარი. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციის დღეს ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარებულია ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ტრანზაქციის დღეს მოქმედი სავალუტო კურსით. მონეტარული აქტივები და ვადებულებები, რომლებიც წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლთი კურსით, რომელიც ძალაშია ანგარიშგების დღეს. მოგებები და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება უცხოური ვალუტის კონვერტაციის შედეგად, აღიარებულია მოგებასა ან ზარალში სუფთა გაცვითი კურსის დანაკარგის ფარგლებში.

უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციების საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და ტრანზაქციის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლით კურს შორის სხვაობები შეტანილია მოგება/ზარალში გაცვლითი კურსით გამოწვეული ზარალის ფარგლებში. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად იყო 2.6766 და 2.5922 ლარი აშშ დოლართან მიმართებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოშვებული, მარგამ ჯერ ძალაში არ შესული სტანდარტები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების თარიღამდე, გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და არსებული სტანდარტების მიმართ ცვლილებები, რომელიც მომდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში, და რომელიც ჯგუფს ჯერ არ მიუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ჯგუფზე, ან რომელთა გავლენა ამჟამად ფასდება, შემდეგია:

ფასს 16 იჯარები ფასს 16-ზე გადასვლა

ფასს 16 გამოშვებული იქნა 2016 წლის იანვარში, და მან შეცვალა: ბას 17 -იჯარები, IFRIC 4 განსაზღვრა-მოიცავს, თუ არა ეს შეთანხმება იჯარას, შიჩ-15 საოპერაციო იჯარები - სტიმულირების ღონისძიებები და შიჩ-27 ოპერაციის არსის შეფასება, რომელიც მოიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. ფასს 9-ში განსაზღვრულია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციის და იჯარების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის პრინციპებს და მოითხოვს მოიჯარეებისგან, რომ ბალანსის შემდგომი ერთი მოდელის შესაბამისად ყველა იჯარა ბას 17 -ის შესაბამისად ფინანსური იჯარის აღრიცხვის მსგავსი იყოს. ეს სტანდარტი მოიცავს ორ აღიარებულ გამონაკლის მოიჯარეებთან დაკავშირებით - „დაბალ-ღირებულიანი აქტივების იჯარები" (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (ე.ი. იჯარები 12 თვიანი ან ნაკლები ვადით) და იჯარის დაწყების ვალდებულება, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას გადაიხადოს საიჯარო გადასახდელები (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივი, რომელიც წარმოადგენს უფლებას გამოუყენებელი იყოს განსაზღვრული აქტივი იჯარის ვადაში (ე.ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საპროცენტო დანახარჯი იჯარის ვალდებულებაზე და ცვეთის დანახარჯი აქტივის გამოყენების უფლებაზე.

.მოიჯარეები ასევე ვალდებული არიან გადააფასონ იჯარის ვალდებულება გარკვეული მოვლენების წარმოქმნის შემდეგ (მაგ. ცვლილება იჯარის ვადაში, ცვლილება მომავალ საიჯარო გადახდებში, რომელიც გამოწვეულია ინდექსში და ამ გადახდების განსაზღვრაში გამოყენებულ განაკვეთში ცვლილებით. მოიჯარე ზოგადად აღიარებს იჯარის ვალდებულების გადაფასების თანხას აქტივის გამოყენების უფლების მქონე აქტივის კორექტირების სახით. ფასს 16-ის შესაბამისად მეიჯარის საბუღალტრო აღრიცხვა არსებითად არ განსხვავდება ბას 17-ის შესაბამისად განხორციელებული დღევანდელი საბუღალტრო აღრიცხვისგან. მეიჯარეები გააგრძელებენ ყველა იჯარის კლასიფიკაციას იმავე კლასიფიკაციის პრინციპის გამოყენებით, რომელსაც იყენებს ბას 17 და განასხვავებენ იჯარის ტიპებს : საოპერაციო და ფინანსური იჯარები. ფასს 16 ასევე მოითხოვს მოიჯარეებისგან და მეიჯარეებისგან უფრო ფართოდ წარმოადგინონ ინფორმაცია, ვიდრე ეს ხდებოდა ბას 17 -ის შესაბამისად.

ჯგუფი აპირებს მიიღოს ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით და პირველად გამოიყენოს ის 2019 წლის 1 იანვარს. ჯგუფი აღიარებს კუმულაციურ კორექტირებას ბალანსის დაწყებისას წინა პერიოდის შესადარისი მაჩვენებლების დადასტურების გარეშე. გარდამავალ პერიოდში ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებას იჯარებთან დაკავშირებით, რომელიც ადრე კლასიფიცირებული იყო როგორც საოპერაციო ლიზინგი ბას 17-ის გამოყენებით. საიჯარო ვალდებულება შეფასდება დარჩენილი საიჯარო გადასახდელების არსებული ღირებულებით, დისკონტირებული თავდაპირველი გამოყენების დღეს სესხის ყველაზე დაბალი განაკვეთის გამოყენებით. ჯგუფი ასევე

აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას ასეთი იჯარებისთვის, რომლის მოცულობა საიჯარო ვალდებულების ტოლია, და კორექტირებულია აღნიშნული იჯარასთან დაკავშირებული წინასწარ გადახდილი ან დაგროვილი იჯარის გადახდილი თანხების მიხედვით, აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უშუალოდ თავდაპირველი გამოყენების დღემდე. ჯგუფი იყენებს შემდეგ პრაქტიკულ გამოცდილებებს:

- ჯგუფი იყენებს ერთ დისკონტირების განაკვეთს ფაქტობრივად მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარის პორტფელის მიმართ.
- ჯგუფი ეყრდნობა თავის შეფასებას რამდენად გაუჭირდებათ აღებულ იჯარებს გამოიყენონ ბას 37 რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები უშუალოდ თავდაპირველი გამოყენების დღემდე, როგორც გაუფასურების ანალიზის განხორციელების ალტერნატივა.
- ჯგუფი გამორიცხავს თავდაპირველი გამოყენების დღეს გამოყენების უფლების მქონე აქტივის შეფასებიდან მიღებულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს.

ჯგუფი აირჩევს საიჯარო კონტრაქტების შესახებ სტანდარტით შემოთავაზებული გამონაკლისების გამოყენებას, იმ საიჯარო კონტრაქტებთან დაკავშირებით, რომლის საიჯარო ვადა სრულდება იჯარით გაცემულ აქტივებთან და საიჯარო კონტრაქტებთან დაკავშირებით, 12 თვეში, და რომლისთვისაც აღნიშნული აქტივი დაბალი ღირებულებისაა.

2018 წლის განმავლობაში, ჯგუფმა განახორციელა ფასს 16-თან დაკავშირებული დეტალური ზემოქმედების შეფასება. ფასს 16-ის მიღებით გამოწვეული ზემოქმედება უმნიშვნელოა..

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისთვის აუცილებელია შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები გავლენას ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების ასახულ მოცულობაზე ანგარიშგების დღეს, ასევე გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ასახულ შემოსავალსა და ხარჯებზე. იმის მიუხედავად, რომ შეფასებები ეფუძნება ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული ფაქტებზე მსჯელობას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა ამ შეფასებებისგან განსხვავებული იყოს.

.

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკას გამოყენების პროცესში, ხელმძღვანელობამ გააკეთა შემდეგი შეფასებები, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე:

სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და დანერგვიდან მიღებული თანხების აღიარება და ასახვა

ჯგუფი ყიდის და გადასცემს ფიზიკურ პირებს არა პერსონალიზებულ სატრანსპორტო ბარათებს მუნიციპალური ხელისუფლების მიერ დამტკიცებულ ფიქსირებულ ფასად. სატრანსპორტო ბარათი თავისთავად არის უფრო მოხერხებული გზა საზოგადოებრივ ტრანსპორტში მხოლოდ მომსახურებების ღირებულების გადასახდელად,

ჯგუფის აზრით ის ხელს უწყობს სატრანსპორტო ბარათების გაყიდვასა და დანერგვას, და ამიტომ თვლის რომ მისი მოვალეობაა უზრუნველყოს ფიზიკური პირებისთვის სატრანსპორტო ბარათების მიყიდვა და შესაბამისად ასრულებს ამას კონკრეტულ დროში. ჯგუფი გადასცემს უფლებას თავის კლიენტებს გადაიხადონ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებების ღირებულება სატრანსპორტი ბარათის გამოყენებით და არ არის პასუხისმგებელი სატრანსპორტო მომსახურებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით დაპირების შესრულებაზე. გარდა ამისა ჯგუფს არ აქვს მითითება განსაზღვროს სატრანსპორტო ბარათების ფასი, რადგან ის ყიდის მათ მუნიციპალური ხელისუფლების მიერ დამტკიცებულ ფიქსირებულ ფასად. ჯგუფს აქვს მხოლოდ ინვენტარის რისკი, რაც შემოიფარგლება პლასტიკური ბარათების ღირებულებით.

ზემოთ განხილული მითითებების გათვალისწინებით, ჯგუფი აფასებს თავის ქმედებებს, როგორც ასეთი ტრანსზაქციების აგენტი, რომელიც აღიარებს სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და დანერგვიდან შემოსავალს გარკვეულ დროში პლასტიკურ ბარათებთან დაკავშირებული ღირებულების გარეშე.

5. ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებების დინამიკა იყო:

	თვითმომსახურების ტერმინალები და არამიმდინარე სათადარიგო ნაწილები	*მიწა და ნაგებობები*	*ავეჯი და მოწყობილობა*	*კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა*	*ავტომობილები*	*იჯარითად ებული ქონების გაუმჯობესება*	*სხვა მოწყობილობა*	*სულ*
ღირებულება								
31 დეკემბერი 2016	**16,972**	**918**	**544**	**4,210**	**345**	**579**	**141**	**23,709**
ზრდა	2,963	11	57	775	116	113	302	4,337
რეალიზაცია	(494)	-	(54)	(935)	(125)	-	(12)	(1,620)
31 დეკემბერი 2017	**19,441**	**929**	**547**	**4,050**	**336**	**692**	**431**	**26,426**
ზრდა	1,165	13	167	2,170	121	76	9,740	13,452
რეალიზაცია	(1,772)	-	(47)	(611)	(94)	(3)	(369)	(2,896)
31 დეკემბერი 2018	**18,834**	**942**	**667**	**5,609**	**363**	**765**	**9,802**	**36,982**
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი 2016	**4,468**	**14**	**299**	**2,237**	**177**	**125**	**62**	**7,382**
გაუფასურების დანარიცხი	1,910	9	58	789	54	86	20	2,926
რეალიზაცია	(82)	-	(54)	(932)	(78)	-	(12)	(1,158)
31 დეკემბერი 2017	**6,296**	**23**	**303**	**2,094**	**153**	**211**	**70**	**9,150**
გაუფასურების დანარიცხი	2,020	9	66	869	70	100	19	3,153
რეალიზაცია	(867)	-	(46)	(602)	(82)	(3)	(45)	(1,645)
31 დეკემბერი 2018	**7,449**	**32**	**323**	**2,361**	**141**	**308**	**44**	**10,658**
წმინდა საბალანსო ღირებულება:								
31 დეკემბერი 2017	**13,145**	**906**	**244**	**1,956**	**183**	**481**	**361**	**17,276**
31 დეკემბერი 2018	**11,385**	**910**	**344**	**3,248**	**222**	**457**	**9,758**	**26,324**

6. არამატერიალური აქტივები

	ღირებულება	*ამორტიზაციის დანარიცხი*	*სუფთა საბალანსო ღირებულება*
31 დეკემბერი 2016	**5,931**	**(1,612)**	**4,319**
ზრდა / (ამორტიზაციის დანარიცხი)	1,463	(842)	
რეალიზაცია	(218)	215	
საპრეზენტაციო ვალუტაში კონვერტირების ეფექტი	1	–	
31 დეკემბერი 2017	**7,177**	**(2,239)**	**4,938**
ზრდა // (ამორტიზაციის დანარიცხი)	2,611	(1,200)	
რეალიზაცია	(294)	294	
31 დეკემბერი 2018	**9,494**	**(3,145)**	**6,349**

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31-დეკ-2018	*31-დეკ-2017*
სათადარიგო ნაწილები	2,851	1,252
პლასტიკური სატრანსპორტო ბარათები	133	236
სხვა	726	514
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**3,710**	**2,002**

8. ავანსი და სხვა მოკლევადიანი აქტივები

	31-დეკ-2018	*31-დეკ-2017*
მოქმედი საგადასახადო ვალდებულება	1,053	1,068
მომსახურებების ავანსი	135	219
ინვენტარისთვის ავანსი	181	214
ავანსი დაკავშირებული მხარეებისთვის (შენიშვნა 19)	-	12
სხვა	46	63
სულ ავანსი და სხვა მოკლევადიანი აქტივები	**1,415**	**1,576**

9. დებიტორული დავალიანებები

	31-დეკ-2018	*31-დეკ-2017*
დებიტორული დავალიანებები დაკავშირებული მხარეებისგან (შენიშვნა 19)	1,388	1,267
სხვა დებიტორული დავალიანებები receivables	680	429
	2,068	**1,696**
გამოკლებულ - გაუფასურების რეზერვი	(165)	(26)
სულ დებიტორული დავალიანება, სუფთა	**1,903**	**1,670**

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულება გონივრულად აახლოებს ერთმანეთთან მათ სამართლიან ღირებულებას. გადახდის პირობები მერყეობს 5-დან 30 კალენდარული დღის დიაპაზონში.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის დებიტორული დავალიანებები შესაბამისად თავდაპირველი საბალანსო ღირებულებით იყო 139 ათასი ლარი და 21 ათასი ლარი, გაუფასურდა და სრულად წარდგენილია სრული შემოსავლის კონსოლიდირებული აწგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯების ხაზში.

10. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტოინსტიტუტებში ასახული თანხები წარმოდგენილი იყო მოკლევადიანი განთავსებით ბანკებში თავდაპირველი დაფარვის ვადით 6-დან 12 წლამდე. 2018 და 2017 წელებში, ჯგუფმა შესაბამისად მიიღო 63 ლარი და 18 ლარი პროცენტიდან შემოსავალი.

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31-დეკ-2018	*31-დეკ-2017*
დასახლებისთვის გაგზავნილი თანხა	24,048	15,561
დასახლებასთან დაკავშირებით დაკავშირებული მხარის საბანკო ანგარიშზე თანხა (შენიშვნა 19)	2,596	22,076
თანხა დაკავშირებულ საბანკო ანგარიშზე	5,217	4,396
თანხა არდაკავშირებულ საბანკო ანგარიშზე	197	42
სალაროში არსებული თანხა	1,098	1,459
სულ ფული და მათი ეკვივალენტები	**33,156**	**43,534**

დასახლებისთვის გაგზავნილი თანხა ასახავს ფიზიკური პირებისგან მიღებულ თანხას დაკავშირებული მხარის საბანკო ანგარიშზე მის დეპონირებამდე.

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან აღიარებულია შენიშვნაში 19.

ფული და ფულის ეკვივალენტების საბანკო ანგარიშებზე მოიცავს პროცენტს მცურავი კურსით, რომელიც ეფუძნება საბანკო დეპოზიტზე დღიურ განაკვეთს. ჯგუფის ხელმძღვანელობა არ მოელის რაიმე დანაკარგს ბანკის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობიდან, სადაც ინახება ფული და ფულის ეკვივალენტები, და არ არის რაიმე მნიშვნელოვანი სხვაობა მათ საბალანსო და სამართლიან ღირებულებებს შორის.

12. კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით გამოშვებული და გადახდილი სააქციო კაპიტალი მოიცავდა 23,316 ჩვეულებრივ აქციას ერთი ქართული ლარის ნომინალური ღირებულებით და 4,257 ლარის აქციაზე პრემია.

შემოსავალი აქციაზე

საბაზისო შემოსავალი აქციაზე გაანგარიშდება წლის სუფთა მოგება, რომელიც მიეკუთვნება ჯგუფის ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს, გაყოფილი წლის განმავლობაში შეწონილი საშუალო რაოდენობის ჩვეულებრივ აქციაზე. ჯგუფის განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე უდრის საბაზისო შემოსავალს ერთ აქციაზე რადგან არ არის განზავებული პოტენციური ჩვეულებრივი აქციები.

ქვემოთ ასახულია მოგება და აქციის მონაცემები, რომლებიც გამოიყენება ერთ აქციაზე საბაზისო შემოსავლების გაანგარიშების დროს:

	2018	*2017*
ჩვეულებრივის აქციების მფლობელებს მიკუთვნებული სუფთა მოგება	4,583	2,790
ჩვეულებრივი აქციების შეწონილი საშუალო რაოდენობა	23,316,420	23,316,420
საბაზისო და განზავებული შემოსავლები ერთ აქციაზე ლარში	**0.20**	**0.12**

13. კრედიტორული დავალიანებები

	31-დეკ-2018	*31-დეკ-2017*
გადასახდელი დაკავშირებული მხარეებისთვის (შენიშვნა 17)	25,086	34,761
დასახლებასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანებები	3,188	3,748
დანარიცხები თანამშრომლის კომპენსაციისთვის	870	648
მოქმედი გადასახდელი გადასახადები	447	332
ძირითად საშუალებასა და არამატერიალურ აქტივებზე კრედიტორული დავალიანებები	341	3
სხვა კრედიტორული დავალიანება	338	308
სულ კრედიტორული დავალიანება	**30,270**	**39,800**
მიმდინარე	30,270	39,800

არა მიმდინარე

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო მაჩვენებლები გონივრულად აახლოებს მათ სამართლიან ღირებულებებს.

14. შემოსავლები კლიენტებთან კონტრაქტებიდან

ჯგუფი უზრუნველყოფს მომსახურებებს ქსელურ ოპერაციებზე და ტექმომსახურებაზე, ასევე საოპერაციო მონაცემების დამუშავებას და პერსონიზებულ მომსახურებებს თავისი კლიენტებისთვის, ე.ი. სს საქართველოს ბანკს თვითმომსახურების ტერმინალების საშუალებით და სხვა კლიენტებს სალაროების საშუალებით. ჯგუფის აზრით მომსახურებები სრულდება დროთა განმავლობაში, იმ პირობით, რომ კლიენტები იმავდროულად იღებენ და მოიხმარენ ჯგუფის მიერ მოწოდებულ სარგებელს.

ჯგუფის ერთერთი შვილობილმა კომპანია, შპს მეტრო სერვის პლუსმა, თავდაპირველად 2006 წელს 10 წლით, ხელი მოაწერა კონტრაქტს ტრანზაქციის მონაცემების დამუშავების მომსახურებასთან დაკავშირებით სს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან. 2016 წლის მარტსა და 2017 წლის ივლისს შორის პერიოდში, სს მეტრო სერვის პლუსმა ხელი მოაწერა რამდენიმე დამატებით ხელშეკრულებას, იმ პირობით, რომ საკონტრაქტო პერიოდი გაგრძელდება 2018 წლის ოქტომბრამდე. ამ დამატებითი ხელშეკრულებების მიხედვით, შპს მეტრო სერვის პლუსი განიხილებოდა როგორც ქვეკონტრაქტორი და დაიწყო მოსაკრებლების მიღება ტრანზაქციის მონაცემების დამუშავებისთვის თავისი მომსახურებასთან დაკავშირებული მხარის ბანკისგან, საქართველოს ბანკისგან. გარდა ამისა, შპს მეტრო სერვის პლუსი, ვალდებული იყო გადაერიცხა კონკრეტული აქტივები თბილისის მერიაში უფასოდ, შესაბამისად შპს მეტროს სერვის პლუსმა აღიარა ამ აქტივების ღირებულება სხვა საოპერციო ხარჯების ფარგლებში 2017 წელს (იხილეთ ასევე შენიშვნა 15).

2017 წლის 15 სექტემბერს, ჯგუფის მომსახურებასთან დაკავშირებული მხარის ბანკმა, სს საქართველოს ბანკმა, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას თბილისის მერიასთან ექსკლუზიურ უფლებასთან დაკაშირებით ოპერირება გაუწიოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემას თბილისში. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, სს საქართველოს ბანკი, როგორც საზოგადოებრივი სატრანსპორტო ქსელის გადახდის მომსახურებების ერთადერთი პროვაიდერი, გააგრძელებს საცალო ფილიალების ოპერირებას თბილისის მეტროს სადგურებში მომდევნო ათი წლის განმავლობაში. სს საქართველოს ბანკი დანერგავს თანამედროვე გადახდის სისტემას საზოგადოებრივი სატრანსპორტო ქსელისთვის თბილისში, მათ შორის გადახდის მონაცემების დამუშავებას Visa და MasterCard ბარათების გამოყენებით, და შექმნის ციფრულ პლატფორმას ბილეთების დაჯავშნისა და შესყიდვისთვის მობილური აპლიკაციების საშუალებით.

2018 წლის თებერვალში, სს საქართველოს ბანკმა და სს მეტრო სერვის პლუსმა, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც, ჯგუფი იქნება ქვეკონტრაქტორი და ოპერირებას გაუწევს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემას თბილისში ახალი ათის წლის ვადით, 2018 წლის ოქტომბრიდან დაწყებული.

საკონტრაქტო აქტივები და ვალდებულებები

ჯგუფმა აღიარა ქვემოთ წარმოდგენილი შემოსავალთან დაკავშირებული საკონტრაქტო აქტივები და ვალდებულებები:

	2018	*2017*
დებიტორული დავალიანებები	1,838	1,032
მიღებული ავანსი	8,822	301

დებიტორული დავალიანებები აღიარებულია, როცა გადახდილ თანხაზე უფლება გახდება უპირობო.

ჯგუფი იყენებს ფასს 15.121-ში ნახსენებ პრაქტიკულ გამოცდილებას და არ ასახავს ინფორმაციას ტრანზაქციის ფასის მთლიანი თანხის შესახებ, რომელიც ეხება შეუსრულებელ ვალდებულებებს, რადგან ჯგუფს აქვს უფლება მიიღოს კლიენტისგან თანხა იმ მოცულობით, რომელიც პირდაპირ შეესაბამება კლიენტთან არსებულ ღირებულებებს

15. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები

	2018	*2017*
სუფთა მოგება გადაიარაღების მომსახურებების და მოწყობილობის გაყიდვიდან	437	182
შემოსავალი ბილეთის ველიდატორების დამონტაჟებიდან	-	849
იჯარიდან შემოსავალი	953	822
შემოსავალი პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვიდან	206	310
ურთიერთკავშირის გადასახადი	321	266
სხვა საოპერაციო შემოსავალი	235	267
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	**2,152**	**2,696**
თბილისის მერიისთვის გადარიცხული აქტივების ღირებულება (შენიშვნა 14)	(409)	(1,301)
რემონტი და ტექმომსახურება	(1,758)	(1,585)
გამოყენებული სასაქონლო მარაგების ღირებულება	(1,355)	(792)
საკომუნიკაციო ქსელი	(792)	(655)
მოქმედი გადასახადები	(615)	(479)
თანხის ამოღება	(360)	(350)
საკომისიო	(362)	(279)
ელექტროენერგია, წყალი, გაზი და სხვა კომუნალური მომსახურებები	(215)	(272)
პროფესიული მომსახურებები (აუდიტი)	(115)	(209)
პროფესიული მომსახურებები (სხვა)	(178)	(209)
მოპარული და დაზიანებული ბანკნოტები	(170)	(187)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან სუფთა ზარალი	-	(15)
დებიტორული დავალიანების რეზერვი	(114)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,104)	(666)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**(7,547)**	**(6,790)**

16. ხელფასები და სხვა თანამშრომელთა ანაზღაურება

	2018	*2017*
ხელფასები და სხვა სარგებლები	9,600	8,054
ფულადი ბონუსები	881	754
სულ ხელფასები და სხვა თანამშრომელთა ანაზღაურება	**10,481**	**8,808**

17. დაბეგვრა

2016 წლის ივნისში, ძალაში შევიდა კორპორატიულ საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებული საქართველოს საგადასახადო კანონის ცვლილებები. ეს ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, რომლებისთვისაც ცვლილებები ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან. ახალი რეგულაციის შესაბამისად კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი დაიბეგრება იმ აქციონერებზე დივიდენდის სახით უფრო განაწილებულ მოგებიდან, რომლებიც არიან საქართველოს ფიზიკური პირების ან არარეზიდენტები, და არა მიღებული მოგებიდან. დივიდენდის განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის მოცულობა გაანგარიშდა როგორც სუფთა განაწილების თანხის 15/85. კომპანიებს შეუძლიათ ურთიერთ ჩათვალონ კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან დივიდენდის განაწილებიდან კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მოცულობით, გადახდის შესაბამის პერიოდისთვის არსებული რეგულაციის შესაბამისად. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება კორპორატიულ საშემოსავლო გადასახადს.

ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბერს. ჯგუფმა სრულად შეაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ბას 12-ის *საშემოსავლო გადასახადები*- მოთხოვნის საფუძველზე, რათა შეეფასებინა გადავადებული გადასახადები 0% საგადასახდო განაკვეთით, რომელიც გამოიყენება გაუნაწილებელი მოგების მიმართ 2017 წლის 1 იანვრიდან. 2018 და 2017 წლებში, ჯგუფს არ გაუნაწილებია მოგება (დივიდენდები). ხელძღვანელობა დარწმუნებულია რომ ჯგუფი არსებითად შესაბამისობაშია საგადასახადო კანონმდებლობასთან, რომელიც გავლენას ახდენს მის ოპერაციებზე. თუმცა არსებობს რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა შესაძლოა დაიკაონ განსხვავებული პოზიცია ინტერპრეტაციის საკითხებთან დაკავშირებით.

18. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოქმნილი რისკი

თავისი ჩვეული საქმიანობის ფარგლებში ჯგუფმა ასახა საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი და ბაზრის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს მიადგება ზარალი მისი მომხმარებლების, კლიენტების ან კონტრაგენტების მხრიდან, თუ ისინი ვერ შეასრულებენ საკონტრაქტო ვალდებულებებს. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰქონდა საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა:

- ნაღდი ფული ბანკებში და თანხები საკრედიტო ინსტიტუტებში

  2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა განათავსა 7,813 ათასი ლარი და 26,472 ათასი ლარი შესაბამისად დაკავშირებული მხარის ბანკში, რომელსაც აქვს ფითჩის რეიტინგებისგან Moody's და *BB-/B* -ის Standard & Poor's, *B1/NP (FC) & Ba3/NP (LC)* -გან მინიჭებული *BB-/B რეიტინგი*

- დებიტორული დავალიანებები

  ჯგუფისა და კომპანიის დებიტორული დავალიანებები ძირითადად წარმოდგენილია ლარში და გადასახდელია სააგარიშგებო თარიღიდან 3 თვის განმავლობაში. მნიშვნელოვანი დებიტორული დავალიანებები არ არის ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს თავისი ყველა გადახდის ვალდებულების შესრულებას, როცა მათი გადახდის ვადა დადგება ნორმალური ან სტრესული გარემოებების შესაბამისად. ჯგუფის ლიკვიდურობის რისკი, ანალიზდება და იმართება ხელმძღვანელობის მიერ.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება შესასრულებელია 2 თვეში და საკონტრაქტო არადისკონტირებული თანხის დაბრუნების ვალდებულებები მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

ბაზრის რისკი

ბაზრის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება, ბაზრის ისეთ ცვლად მაჩვენებლებში ცვლილებების გამო, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები და გაცვლითი კურსის განაკვეთები. ჯგუფს არ აქვს მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი.

19. დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები

ბასს 24-ის *-დაკავშირებული მხარის რისკები-* შესაბამისად, მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს სხვა მხარე ან გამოიყენოს მნიშვნელოვანი გავლენა სხვა მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას, ან თუ მხარეები არიან ერთიდაიმავე ჯგუფის შვილობილი კომპანიები. თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება უნდა მიექცეს ურთიერთობის შინაარსს, და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლია შევიდეს გარიგებებში, რომლებშიც არ შევლენ არდაკავშირებული მხარეები, და გარიგებებმა დაკავშირებულ მხარეებს შორის შესაძლოა გავლენა არ მოახდინოს იმავე პირობებით და მოცულობით, როგორც ეს არის არდაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებების დროს, ყველა გარიგება დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა დამოუკიდებელი მხარეების პრინციპზე.

დაკავშირებული მხარის გარიგებების მოცულობები და ჯგუფის ვალის ნაშთები 31 დეკემბრისთვის იყო შემდეგი: .

	31-დეკ-2018		*31-დეკ-2017*	
	*მშობელი**	*ორგანიზაციები საერთო კონტროლის ქვეშ*	*მშობელი**	*ორგანიზაციები საერთო კონტროლის ქვეშ*
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	–	7,813	–	26,514
თანხები საკრედიტო ინსტიტუტებში	–	1,037	–	1,572
დებიტორული დავალიანებები	–	1,388	–	1,267
ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	–	-	–	12
	–	10,238	–	29,365
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანებები	–	25,086	–	34,761
მიღებული ავანსები	–	4,450	–	654
	–	29,536	–	35,415

ქვემოთ ცხრილი ასახავს ჯგუფის ტრანზაქციების მთლიან მოცულობას, რომლებიც გაფორმდა დაკავშირებულ მხარეებთან:

	2018		*2017*	
	*მშობელი**	*ორგანიზაციები საერთო კონტროლის ქვეშ*	*მშობელი**	*ორგანიზაციები საერთო კონტროლის ქვეშ*
გაყიდვები				
ტრანზაქციის მონაცემების დამუშავებიდან შემოსავალი	–	10,107	–	16,174
შემოსავალი ტექმომსახურებიდან	–	454	–	1,017
შემოსავალი პერსონალიზაციის მომსახურებებიდან	–	422	–	529
	–	10,983	–	17,720
სხვა საოპერაციო შემოსავალი				
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან (ა)	–	7	–	72
სხვა საოპერაციო შემოსავალი	–	4,626	–	2,873
	–	4,633	–	2,945
შესყიდვები და ხარჯები				
იჯარა	–	313	–	(478)
სასაქონლო მარაგების შესყიდვა	–	–	–	(444)
სხვა საოპერაციო ხარჯები	–	420	–	(939)
	–	733	–	(1,861)
სხვა პუნქტები				
საპროცენტო შემოსავალი	–	–	–	52
საპროცენტო ხარჯი	–	23	–	(9)

(ა) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან შემოსავალი შეტანილია ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან სუფთა მოგებაში სხვა საოპერაციო შემოსავლის ფარგლებში.

(გ) სასაქონლო მარაგების გაყიდვიდან შემოსავალი შეტანილია სასაქონლო მარაგების გაყიდვიდან სუფთა მოგებაში სხვა საოპერაციო შემოსავლის ფარგლებში.

2018 და 2017 წლებში, ჯგუფის ხელმძღვანელი რგოლის პერსონალის კომპენსაცია შესაბამისად შეადგენს 441 ათას ლარს და 509 ათასი ლარს.

20. მოვლენები საანგარიშგებო თარიღის შემდეგ

2019 წლის 6 აპრილს ჯგუფმა შეისყიდა შვიდი ახალი ავტომობილი (თითოეული 35 ათასი ლარის ღირებულების) აღჭურვილი არმირებული კაბინებით და სპეციალური ნებართვებით, რათა შეიცვალოს ფულის მოგროვების მეთოდი თბილისში. ამ მეთოდმა ჩაანაცვლა ძველი მეთოდი, რომლის მიხედვითაც მთელი პროცესი ხორციელდება ავტომობილების საშუალებით რაიმე სპეციალური ტიპის აღჭურვილობის გარეშე და მათ ფლობენ ფულის მომგროვებლები.

2019 წლის 8 აპრილს ჯგუფმა აიღო ახალი სესხი 300 ათასი ლარი დაკავშირებული მხარის კომპანიისგან. სესხის ვადა 36 თვეა და საპროცენტო განაკვეთი 10.7%-ია.

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასცხრამეტი წლის ოცდაათ სექტემბერს მე, ნოტარიუსი, ნინო მასხულია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, ვამოწმებ მთარგმნელის, ქალბატონი *მზია თულიანის* ხელმოწერის სინამდვილეს, ოცდაათ გვერდზე, ერთ ცალად, რომელმაც ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა *სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ" – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.*

ქალბატონი მზია თულიანი, დაბადებული 1952 წლის 17 აპრილს თბილისში, პირადი №01009023304, რეგისტრირებული ქ.თბილისში, ო.დგებუაძის ქუჩა N1, ბინა 236, პროფესიით არის ინგლისური ენის სპეციალისტი, რაც დასტურდება, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ 1974 წლის 17 ივლისს გაცემული დიპლომით Я N176788.

მთარგმნელი გაფრთხილებულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს.

გადახდილია 72,80 ლარი - აქედან: საზღაური 60,00 ლარი ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისათვის, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31.3. მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 10,80 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: ნინო მასხულია



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N191199274
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	30.09.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	ნინო მასხულია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2997150
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	79105793655119

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სს ექსპრეს ტექნოლოჯიზ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორი დასკვნა……..……..……3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება....5
სრული მოგებისა ან ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება 6
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 7
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება....8

ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი 10
2. მომზადების საფუძველი 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 21
5. ძირითადი საშუალებები 22
6. არამატერიალური აქტივები 22
7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები 23
8. ავანსი და სხვა მოკლევადიანი აქტივები 23
9. დებიტორული დავალიანებები 23
10. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 23
11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 24
12. კაპიტალი 24
13. კრედიტორული დავალიანებები 24
14. შემოსავლები კლიენტებთან კონტრაქტებიდან 25
15. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები 26
16. ხელფასები და სხვა თანამშრომელთა ანაზღაურება 26
17. დაბეგვრა 26
18. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოქმნილი რისკი 27
19. დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები 27
20. მოვლენები საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 29

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზის’’ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად - „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.* ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისა და ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შესრულებული გვაქვს ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვნი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია ჯგუფის ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილის კონცენტრაცია დაკავშირებულ მხარეებთან.

ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის მოდიფიცირებული.

სხვა გარემოება

კომპანიისა და ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის განახორციელა სხვა აუდიტორმა, რომელმაც 2018 წლის 18 სექტემბერს გამოსცა არამოდიფიცირებული მოსაზრება შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად თანხვდენილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის

თუ არა შესაბამისობაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებითად მცდარია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, მმართველობის ანგარიშში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვდენილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიისა და ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიისა და ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის/ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები ზედამხედველობენ კომპანიისა და ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებასა და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის

აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიისა ან ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ან ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია ან ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებით შენიშვნებსა და ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით,

2019 წლის 19 სექტემბერი

2018 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით მოგება/ზარალის და სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

(ათასი ქართული ლარი)

	შენიშვნები	*31 დეკ 2018*	*31 დეკ 2017*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	26,324	17,276
არამატერიალური აქტივები	6	6,349	4,938
გადახდილი ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	8	2,193	308
		34,866	**22,522**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	3,710	2,002
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	8	1,415	1,576
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		27	31
დებიტორული დავალიანება	9	1,903	1,670
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	10	1,037	1,572
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	33,156	43,534
		41,248	**50,385**
სულ აქტივები		**76,114**	**72,907**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	23,316	23,316
დამატებითი შენატანები კაპიტალში	12	4,257	4,257
გაუნაწილებელი მოგება		9,256	4,682
ჯგუფის აქციონერებზე მიკუთვნებადი მთლიანი კაპიტალი		**36,829**	**32,255**
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელები		**145**	136
სულ კაპიტალი		**36,974**	**32,391**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		4,450	-
		4,450	**-**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	13	30,270	39,800
მიღებული ავანსები		4,372	662
გადასახდელი დივიდენდები		33	33
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		15	21
		34,690	**40,516**
სულ ვალდებულებები		**39,140**	**40,516**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**76,114**	**72,907**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 1-28 გვერდებზე, სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 19 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით::

ირაკლი კოდუა აღმასრულებელი დირექტორი

19 სექტემბერი 2019

თანდართული შენიშვნები 9-28 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

2018 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით მოგება/ზარალის და სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

(ათასი ქართული ლარი)

	შენიშვნები	*2018*	*2017*
შემოსავალი ფინანსური ოპერაციების დამუშავებიდან		24,537	18,574
შემოსავალი ტექმომსახურებიდან		1,246	1,382
საკომისიო გაყიდვებიდან და სატრანსპორტო ბარათების შემოღებიდან		677	430
შემოსავალი სატრანსპორტო განყოფილებიდან		492	-
შემოსავალი პერსონალიზაციის მომსახურებებიდან		482	554
სულ შემოსავლები	14	**27,434**	**20,940**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	15	2,152	2,696
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა ანაზღაურება	16	(10,481)	(8,808)
იჯარა		(2,086)	(1,715)
ცვეთა და ამორტიზაცია	5, 6	(4,353)	(3,768)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(7,547)	(6,790)
საოპერაციო შემოსავალი		**5,119**	**2,555**
პროცენტიდან შემოსავალი		63	52
საპროცენტო ხარჯი		(525)	(9)
საკურსო ზარალი		(74)	192
მოგება დაბეგვრამდე		**4,583**	**2,790**
მოგების გადასახადის ხარჯები	17	-	–
სულ წლის მთლიანი მოგება		**4,583**	**2,790**
მიკუთვნებული:			
მშობელი კომპანიის აქციონერები		4,574	2,781
არაკონტროლირებადი მონაწილეობის წილი		9	9
საბაზისო და განზავებულ მოგებები აქციაზე ლარში	12	**0.20**	**0.12**
სხვა სრული(ზარალი)/შემოსავალი რეკლასიფიცირებული უნდა იყოს მოგებასა ან ზარალში მომდევნო პერიოდებში			
- (ზარალი) / მოგება სავალუტო სხვაობიდან		-	(50)
სუფთა სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი		**-**	**(50)**
სულ წლის სრული შემოსავალი		**4,583**	**2,740**
სულ სრული შემოსავალი მიკუთვნებული:			
მშობელი კომპანიის აქციონერები		4,574	2,731
არაკონტროლირებადი მონაწილეობის წილი		9	9

თანდართული შენიშვნები 9-28 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

(ათასი ქართული ლარი)

	სააქციო კაპიტალი	*აქციაზე პრემია*	*სხვა რეზერვები*	*გაუნაწილებელი მოგება*	*არაკონტროლირებადი წილი*	*სულ*
1 იანვარი 2017	**23,316**	**4,257**	**50**	**1,901**	**130**	**29,654**
პერიოდის მოგება	–	–	–	2,781	9	2,790
სხვა სრული ზარალი	–	–	(50)	–	–	(50)
აქციების შეძენა არსებულ შვილობილ კომპანიებში	–	–	–	–	(3)	(3)
31 დეკემბერი 2017	**23,316**	**4,257**	**–**	**4,682**	**136**	**32,391**
პერიოდის მოგება	-	-	-	4,574	9	4,583
31 დეკემბერი 2018	**23,316**	**4,257**	**-**	**9,256**	**145**	**36,974**

თანდართული შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

(ათასი ქართული ლარი)

	შენიშვნები	*2018*	*2017*
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		4,583	2,790
კორექტირება დაბეგვრამდე სუფთა ფულადი სახსრების ნაკადთან შედარება:			
ცვეთა და ამორტიზაცია		4,353	3,768
სუფთა ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	15	(438)	15
სუფთა მოგება აღდგენილი მომსახურებების და მოწყობილობის გაყიდვიდან	15	-	(182)
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
სასაქონლო-მატერიალური მარაგების კლება		(1,708)	226
ავანსები და სხვა არსებული აქტივების კლება		161	106
(ზრდა)/კლება დებიტორულ დავალიანებებში		(233)	(295)
კრედიტორული დავალიანებებისა და სხვა ვალდებულებების ზრდა		(1,366)	11,149
სუფთა ფულადი სახსრების ნაკადები საშემოსავლოს დაბეგვრამდე საოპერაციო საქმიანობიდან		**5,352**	**17,577**
გადახდილი პროცენტი		-	(9)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი		(6)	(51)
სუფთა ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		**5,346**	**17,517**
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები ნაკადი			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(17,948)	(6,099)
მოგება ძირითადი საშუალებებისა და მოწყობილობის გაყიდვიდან		1,689	1,591
(საკრედიტო ინსტიტუტებში თანხების (განთავსება)/გამოტანა		535	(1,042)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული სუფთა თანხა		**(15,724)**	**(5,550)**
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრების ნაკადი			
გადახდილი დივიდენდები		-	(1)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული სუფთა თანხა		**-**	(1)
სუფთა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**(10,378)**	**11,966**
სუფთა სავალუტო სხვაობა		-	(51)
ფული და ფულის ეკვივალენტები, დასაწყისი	**11**	**43,534**	**31,619**
ფული და ფულის ეკვივალენტები, დასასრული	**11**	**33,156**	**43,534**

თანდართული შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის

(ათასი ქართული ლარი თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. შესავალი

სს ექსპრეს ტექნოლოჯიზ („კომპანია“) არის 2007 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული სააქციო საზოგადოება, რომლის მისამართია საქართველო, თბილისი ბელაშვილის ქ. 106. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს კომპანიას და მის შვილობილ კომპანიებს (ერთობლივად მითითებული „ჯგუფი“). ჯგუფის მთავარი საქმიანობა მოიცავს თვითმომსახურების ტერმინალის ქსელურ ოპერაციებს, ტექმომსახურებას და ოპერაციების დამუშავებას, ტარიფის ამოღების სისტემის ოპერაციას და ტექმომსახურებას საჯარო ტრანსპორტირების ქსელის და პერსონალიზაციის მომსახურებების საშუალებით.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას სრულად ფლობდა სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ ფლობდნენ ჯგუფის აქციებს.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის BGEO Group PLC, გაერთიანებული სამეფოს საფონდო ბირჟაზე დაფუძნებული კომპანია.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები ჯერ არ არის დამტკიცებული აქციონერების მიერ. აქციონერებს აქვთ უფლება შეცვალონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების გაცემის შემდგ.

შვილობილი კომპანიები

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ შვილობილ კომპანიებს შემდეგი ეფექტური წილობრივი მონაწილეობით:

შვილობილი კომპანია	*2018*	*2017*	*ქვეყანა*	*Industry*
სს ჯორჯიან ქარდი	99.46%	99.46%	საქართველო	დამუშავება და პერსონალიზაციის მომსახურებები
შპს დაირექტ დებიტ ჯორჯია	99.46%	99.46%	საქართველო	თვითმომსახურების ტერმინალური ქსელის ოპერაციები, ტექმომსახურება და მიღების პროცესში ინფორმაციის დამუშავება
შპს მეტრო სერვის +	100.00%	100.00%	საქართველო	ტარიფის მოსკრეფი სისტემის მუშაობა და ტექმომსახურება საჯარო სატრანსპორტო ქსელის საშუალებით
შპს დიდი დიღმის კვლევითი ცენტრი	100.00%	100.00%	საქართველო	მონაცემთა გაცვლა თბილისის მეტროში მისი ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის გამოყენებით, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებით

2016 წლის აპრილში, ჯგუფმა დაამტკიცა უნგრეთში მის შვილობილ კომპანიაში LLC Express Technologies CEE 100%-ის მფლობელობის ლიკვიდაციის გადაწყვეტილება, რომელიც ოფიციალურად დაიხურა 2017 წლის ოქტომბერში.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (`ფასს~) შესაბამისად, რომელიც გაცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (`ბასს”) მიერ.
წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული მთავარი საბუღალტრო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა მუდმივად გამოიყენება ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით.
ეს ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ათას ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

მოქმედი საწარმო

ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭომ შეაფასა ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც მოქმედმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. უფრო მეტიც ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს ჯგუფის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით. ამიტომ, ფინანსური ანგარიშგებების მომზადებულია მოქმედი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

გაერთიანების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ჯგუფის და მისი შვილობილი კონპანიების (ერთობლივად „ჯგუფი“) ფინანსური ანგარიშგებების 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით. კონსოლიდაცია შვილობილებთან ხორციელდება კონტროლის არსებობის დროს. კონტროლი ხორციელდება, როცა ჯგუფს აქვს ინვესტიციის ობიექტში ჩართულობის შედეგად ცვლადი უკუგების უფლება და აქვს უნარი გავლენა მოახდინოს ამ უკუგებებზე საინვესტიციო ობიექტზე მისი უფლების გამოყენებით. განსაკუთრებით ჯგუფი აკონტროლებს საინვესტიციო ობიექტს მხოლოდ მაშინ, თუ ჯგუფს აქვს:

- საინვესტიციო ობიექტზე უფლება (ე.ი. არსებული უფლებები, რომელიც ამლევს მას შესაძლებლობას მართოს საინვესტიციო ობიექტის შესაბამისი საქმიანობა).
- უფლებები საინვესტიციო ობიექტში მისი ჩართულობის შედეგად ცვლად უკუგებებზე, და
- შესაძლებლობას გამოიყენოს საინვესტიციო ობიექტზე მისი უფლება, რომელიც გავლენას ახდენს მის უკუგებებზე.

როცა ჯგუფს აქვს ხმის უფლების მქონე უმრავლესობაზე ნაკლები ან საინვესტიციო ობიექტის მსგავსი უფლებები, ჯგუფი ითვალისწინებს ყველა შესაბამის ფაქტსა და გარემოებას იმის შეფასებისას, აქვს თუ არა მას უფლება საინვესტიციო ობიექტზე, მათ შორის:

- საკონტრაქტო შეთანხმება საინვესტიციო ობიექტის ხმის უფლების მქონე მფლობელებთან;
- სხვა საკონტრაქტო შეთანხმებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- ჯგუფის ხმის უფლება და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ის საინვესტიციო ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები მიუთითებს, რომ არსებობს კონტროლის ერთი ან მეტი, სამი ელემენტის ცვლილებები. შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება, როცა ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და შეწყვეტს ამ კონტროლს როცა ჯგუფი დაკარგავს შვილობილ კომპანიაზე კონტროლს. წლის განმავლობაში შეძენილი ან გაყიდული შვილობილი კომპანიის აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები შეტანილია ყოვლისმომცველი შემოსავლის ანგარიშში ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების თარიღიდან, ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის კონტროლის შეწყვეტის თარიღამდე..

შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია იმავე საანგარიშგებო პერიოდისთვის რაც მამობილი კომპანიის შემთხვევაში. მუდმივი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით, ყველა ჯგუფის შიგნით არსებული ნაშთი, ოპერაცია, არარეალიზებული მოგება და დანაკარგი, რომელიც წარმოიქმნა ჯგუფის შიგნით ოპერაციების და დივიდენდების შედეგად, სრულად არის გაუქმებული.

მოგება ან ზარალი და სხვა ყოვლისმომცველი შემოსავლის თითოეული კომპონენტი უკავშირდება ჯგუფის მთავარი კომპანიის კაპიტალის მფლობელებს და არაკონტროლირებად წილების, მაშინაც კი, თუ ეს გამოიწვევს დეფიციტური ბალანსის მქონე არაკონტროლირებადი წილების წარმოქმნას.

როცა აუცილებელია, შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშებში ხორციდლდება კორექტირებები, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის შიგნით ყველა აქტივი და ვალდებულება, წილი, შემოსავალი, დანახარჯი და ფულადი ნაკადები, რომლებიც უკავშირდება ჯგუფის წევრებს შორის ტრანზაქციებს სრულად გაუქმდება კონსოლიდაციის დროს.

შვილობილ კომპანიაში წილის მფლობელობაში ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე, ჩაითვლება როგორც სააქციონერო კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაცია. თუ ჯგუფი კარგავს შვილობილ კომპანიაზე კონტროლს, ის:

- ჩამოწერს შვილობილი კომპანიის აქტივებსა (მათ შორის გუდვილი) და ვალდებულებებს ბალანსიდან;
- ჩამოწერს ბალანსიდან ნებისმიერი არაკონტროლირებადი წილების საბალანსო ღირებულებას
- ჩამოწერს ბალანსიდან კაპიტალში რეგისტრირებულ კუმულაციური სავალუტო ოპერაციებიდან სხვაობას
- აღიარებს მიღებული უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებას
- აღიარებს შენარჩუნებული ნებისმიერი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას
- აღიარებს მოგებასა ან ზარალში ნებისმიერ ნამეტს ან დეფიციტს
- ახორციელებს მთავარი კომპანიის კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას, რომლებიც ადრე აღიარებული იყო მოგების ან ზარალის ყოვლისმომცველ შემოსავალში ან გაუნაწილებელ მოგებებში, რომელიც საჭირო იქნება, თუ ჯგუფმა უშუალოდ გაყიდა დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

საბრუნავი -კაპიტალური აქტივების კლასიფიკაცია

ჯგუფი წარმოადგენს აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საბრუნავი/კაპიტალური აქტივების კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი საბრუნავია, როცა ის :

- მოსალოდნელია რომ იქნება რეალიზებული ან გამიზნულია გასაყიდად ან მოსახმარებლად ნორმალური საოპერაციო ციკლის დროს
- არის მფლობელობაში უპირველეს ყოვლის ვაჭრობის მიზნით
- მოსალოდნელია, რომ რეალიზებული იქნება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში.
- ფული და ფულის ეკვივალენტები, თუ აკრძალული არ არის გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვე.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალური.

ვალდებულება მიმდინარეა, როცა:

- მოსალოდნელია, რომ მისი დაფარვა მოხდება ნორმალური საოპერაციო სოკლის ფარგლებში
- არის მფლობელობაში უპირველეს ყოვლის ვაჭრობის მიზნით
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- არ არის უპირობო უფლება გადაიდოს ვალდებულების დაფარვა სააგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით.

ჯგუფი ახდენს ყველა სხვა ვალდებულების არა მიმდინარე ვალდებულებად კლასიფიკაციას. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც არა მიმდინარე აქტივები და ვალდებულებები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივებში შედის ლიცენზიები. არამატერიალური აქტივები იზომება თვითღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური არქივები ასახულია ფაქტობრივი ღირებულებით შეძენისას, გამოკლებული ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაცია და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია ასეთი აქტივების 5-დან 10 წლამდე ექსპლუატაციის ვადაში ამორტიზებული და შეფასებულია გაუფასურება როცა არსებობს ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივი შეიძლება გაუფასურდეს. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდები კონკრეტული ექსპლუატაციის ვადით მოწმდება სულ მცირე თითოეული ფინანსური წლის ბოლოს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით გარდა მიწისა, საოფისე შენობების და მომსახურების ცენტრების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების მოცულობა. ამგვარი თანხა მოიცავს ძირითადი საშუალებების ჩანაცვლების ღირებულებას, როდესაც ხარჯი წარმოიშობა თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

გაუფასურების შედეგად დანაკარგები აღიარებულია მოგებასა ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯების ფარგლებში. რემონტსა და განახლებებზე დანახარჯები დაირიცხება, მათი წარმოიქმნისას და მოიცავს სხვა საოპერაციო დანახარჯებს თუ ისისნი განკუთვნილია კაპიტალიზაციისთვის.

აქტივის ცვეთა იწყება, როცა ხდება მისი გამოყენება. ცვეთა გაანგარიშდება სწორხაზოვანი მეთოდის საფუძველზე შემდეგ შეფასებული საექსპლუატაციო პერიოდში:

	წლები
თვითმომსახურების ტერმინალები და სათადარიგო ნაწილები	10
შენობები	100
ავეჯი და საოფისე მოწყობილობა	10
კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა	5
ავტომობილები	5
ლიზჰოლდის სახეცვლილებები	5
სხვა მოწყობილობა	5

თვითმომსახურების ტერმინალები და სათადარიგო ნაწილები შეიძლება მოიცავდეს დაუმონტაჟებელ მთავარ სათადარიგო ნაწილებს. ეს აქტივები ამორტიზდება თვითმომსახურების ტერმინალებზე მათი მონტაჟის შემდეგ.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება მათი გაყიდვის შემდეგ ან როცა მისი გამოყენებით ან გაყიდვით მისგან მოსალოდნელი აღარ არის რაიმე სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება აქტივის ჩამოწერის შედეგად, (გაანგარიშებული როგორც სხვაობა სუფთა გაყიდვიდან შემოსავალსა და აქტივი საბალანსო ღირებულებას შორის) შეტანილია მოგებასა ან ზარალში პერიოდში როცა მოხდა ამ აქტივის ჩამოწერა.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო -მატერიალური მარაგები მოიცავს სათადარიგო ნაწილებს და სხვა საგნებს და შეფასებულია უფრო დაბალი ღირებულებით და სუფთა რეალიზებული ღირებულებით. სასაქონლო -მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს, რომელიც წარმოიქმნა სასაქონლო -მატერიალური მარაგების შეძენისას და მათი არსებულ ლოკაციასა და პირობებში მიტანას.

ფინანსური ინსტრუმენტები -თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოქმნის ფინანსურ აქტივს ერთ ორგანიზაციაში და ფინანსურ ვალდებულებას ან სხვა ორგანიზაციის წილობრივ ინსტრუმენტს.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები ენაცვლება ბასს 39-ს: ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება და 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდისთვის, რომელიც აერთიანებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის ყველა სამ ასპექტს: კლასიფიკაცია და შეფასება; გაუფასურება; და ჰეჯირების აღრიცხვა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიამ და ჯგუფმა გამოიყენა ფასს 9 რეტროსპექტულად, პირველი გამოყენების თარიღი: 2018 წლის 1 იანვარი. ახალი სტანდარტის მიღებამ მნიშვნელოვანი გავლენა არ მოახდინა კომპანიისა და ჯგუფის ფინანსურ გაანგარიშებებზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობთ.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება თავდაპირველი აღიარების დროს, რომელიც შემდეგ იზომება ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, და სამართლიანი ღირებულებით მოგებას და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის საკონტაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე და მათ მართვასთან დაკავშირებით კომპანიისა და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე. გარდა სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ და ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული გამოცდილება, კომპანია და ჯგუფი თავდაპირველად აფასებს ფინანსურ აქტივს თავისი სამართლიანი ღირებულებით, პლიუს, სამართლიანი ღირებულების გარეშე ფინანსური აქტივების შემთხვევაში მოგებასა ან ზარალში, დანახარჯები გარიგებებზე.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ და ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული გამოცდილება იზომება ფასს 15-ის შესაბამისად განსაზღვრულ გარიგების ფასად.

იმისთვის, რომ ფინანსური აქტივები კლასიფიცირებული და შეფასებული იყოს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, მან უნდა წარმოქმნას ფულადი სახსრების ნაკადები, რომლებიც „არის მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდები“ (SPPI) გადაიხდება ძირ თანხაზე, ეს შეფასება მითითებულია როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური მართვის ჯგუფის ბიზნეს მოდელი მიუთითებს როგორ მართავს ის ფინანსურ აქტივებს საიმისოდ, რომ წარმოიქმნას ფულადი სახსრების ნაკადები. ეს ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს წარმოიქმნა თუ არა ფულადი სახსრების ნაკადები კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი სახსრების ნაკადის მოგროვების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად. ფინანსური აქტივების ყიდვა ან გაყიდვა, რომელიც მოითხოვს აქტივის მიწოდებას რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ დროში (რეგულარული ვაჭრობა) აღიარებულია ვაჭრობის დღეს, ე.ი. დღეს, როცა ჯგუფი ახორციელებს აქტივის შესყიდვას ან გაყიდვას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით (სავალო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით სხვა მთლიან შემოსავალში კუმულაციური მოგებისა და დანაკარგების ხელმეორედ გამოყენებით (სავალო ინსტრუმენტები)

• ფინანსური აქტივები განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში კუმულაციური მოგებისა და დანაკარგების განმეორების გარეშე ჩამოწერის შემდეგ (წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტები)

• ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებასა ან ზარალში.

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით (სავალო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე რელევანტურია ჯგუფისთვის. ჯგუფი აფასებს ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით თუ ქვემოთ მითითებული ორივე პირობა შესრულდება:

• ეს ფინანსური აქტივი მოქცეულია ბიზნეს მოდელის ფარგლებში ფინანსური აქტივების ფლობის მიზნით საიმისოდ, რომ მოგროვდეს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი სახსრების ნაკადები; და

• ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები იწვევს ფულადი სახსრების ნაკადების წარმოქმნას კონკრეტულ თარიღებში, რომელიც მოიცავს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირ თანხაზე გადაუხდელი პროცენტის გადახდებს.

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით შემდეგში ფასდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგებები და დანაკარგები აღიარებულია მოგებას ან ზარალში, როცა აქტივი ჩამოიწერება, მოდიფიცირდება ან გაუფასურდება. ჯგუფის ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გაწეული მომსახურებისა და მიწოდებული საქონლისთვის კლიენტებისგან მისაღები თანხები. თუ თანხების მოგროვება ნავარაუდევია ერთ ან ნაკლებ წელიწადში (ან თუ უფრო დიდხანს, ნორმალური საოპერაციო ციკლში), ისინი კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე აქტივები. თუ არა, მაშინ ისინი წარმოდგენილია როგორც არამიმდინარე აქტივები.

ფინანსური აქტივების ჩამოწერა

ფინანსური აქტივი (ან თუ გამოიყენება) ფინანსური აქტივის ნაწილი ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილი) ძირითადად ჩამოწერილია (ე.ი. ამოღებულია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშიდან), როცა:

• აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადის მიღების უფლებები ამოიწურება; ან

• ჯგუფმა გადასცა მესამე მხარეს სატრანზიტო შეთანხმების საშუალებით ფულადი სახსრების ნაკადის მიღების თავისი უფლება ან აიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფულადი სახსრების ნაკადი სრულად მნიშვნელოვანი დაგვიანების გარეშე; და ან (ა) ჯგუფმა არსებითად გადასცა ყველა რისკი და აქტივიდან შემოსავალი, ან (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც შეინარჩუნა არსებითად აქტივის ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივის კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტთან დაკავშირებით, რომელიც არ არის ფლობილი სამართლიანი ღირებულებით მოგებას ან დანაკარგში. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი ეფუძნება სხვაობას კონტრაქტის შესაბამისად მისაღებ საკონტრაქტო ფულადი სახსრების ნაკადსა და ყველა ფულადი სახსრების ნაკადს შორის, რომელსაც ჯგუფი მოელის რომ მიიღებს დაახლოებით თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთამდე დისკონტირებული სახით. მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადები მოიცავს ფულადი სახსრების ნაკადებს ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების ინსტრუმენტებიდან, რომლებიც წარმოადგენს საკონტრაქტო პირობების განუყოფელ ნაწილს.

.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი აღიარებულია ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომლისთვისაც არ არის მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი მისი თავდაპირველი აღიარებიდან, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვები წარმოდგენილია საკრედიტო დანაკარგებისთვის, რომელიც წარმოიქმნება დეფოლტის შემთხვევაში, რომელიც შესაძლებელია მომდევნო

12 თვის განმავლობაში (12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი). იმ საკრედიტო რისკებთან დაკავშირებით, რომლებშიც მნიშვნელოვანი ზრდა იყო თავდაპირველი აღიარების შემდეგ, დანაკარგის რეზერვი მოთხოვნილია საკრედიტო დანაკარგებისთვის, რომელბიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ ვადაში, დეფოლტის შემთხვევის მიუხედავად (მომსახურების ვადიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი).

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებასა და საკონტრაქტო აქტივებთან დაკავშირებით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის გასაანგარიშებლად ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას. ამიტომ, ჯგუფი თვალყურს არ მიადევნებს ცვლილებებს საკრედიტო რისკში, მაგრამ ამის ნაცვლად აღიარებს დანაკარგის რეზერვს (მომსახურების ვადიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის საფუძველზე თითოეულ საანგარიშგებო თარიღისთვის). ჯგუფმა განსაზღვრა უზრუნველყოფის ცხრილი, რომელიც ეფუძნება მის ისტორიული საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებას, რომელიც კორექტირებულია მოვალეებისთვის და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელ მომავლზე გათლილ ფაქტორებზე დაყრდნობით.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია თავდაპირველი აღიარებისას როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგებასა ან ზარალში, კრედიტების და სესხები, კრედიტორული დავალიანებები, ან წარმოებულები განსაზღვრული როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები ეფექტურ ჰეჯირებაში.

ყველა ფინანსური ვალდებულება აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და კრედიტების და სესხების და კრედიტორული დავალიანებების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებული საოპერაციო ხარჯების გარეშე.

ჯგუფის ფინანსური ვადებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს, კრედიტებს და სესხებს მათ შორის ბანკის ოვერდაფტებს.

შემდგომი შეფასებები

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ:

კრედიტების და სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი კრედიტები და სესხები შემდეგში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებები და ზარალი აღიარებულია მოგებასა ან ზარალში, როცა ვალდებულებები ჩამოიწერება ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაციის პროცესის საშუალებით. ამორტიზებული ღირებულება გაანგარიშდება ნებისმიერი დისკაუნტის, შეძენისას პრემიის და საკომისიოების ან ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაცია შეტანილია როგორც ფინანსური ხარჯები მოგებასა ან ზარალის ანაგრიშგებაში. ეს კატეგორია ზოგადად გამოიყენება პროცენტიანი კრედიტებისა და სესხების მიმართ. .

ჩამოწერა

ფინანსური ვალდებულებები ჩამოიწერება, როცა ვალდებულებებით გათვალისწინებული მოვალეობები შესრულებულია ან გაუქმდება ან ვადა ამოეწურება, როცა არსებული ფინანსური ვალდებულებები ჩანაცვლდება იმავე გამსესხებლისგან სხვა ვალდებულებით არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად მოდიფიცირებულია, ასეთი გაცვლა ან მოდიფიკაცია განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების ჩამოწერა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებაში სხვაობა აღიარებულია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში

ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში წარმოდგენილია თვითღირებულებით გამოკლებული გაუფასურების რეზერვი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ჯგუფი აფასებს შვილობილ კომპანიებში ინვესტიციების აღდგენადობას როცა კი არსებობს გაუფასურების მინიშნება. გაუფასურების მინიშნებები შეიძლება მოიცავდეს შემოსავლების კლებას ან ფულადი სახსრების ნაკადების კლებას ან ოპერატორის ქვეყანაში მნიშვნელოვან უარყოფით ცვლილებებს ეკონომიკაში ან პოლიტიკურ სიტუაციაში. რაც შესაძლოა მიანიშნებდეს, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ ექვემდებარება აღდგენას, თუ ფაქტები და გარემოებები მიანიშნებს, რომ შვილობილ კომპანიაში ინვეტიცია შეიძლება გაუფასურდეს, შესაბამის ინვესტიციასთან დაკავშირებული შეფასებული მომავალი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები დარდება მათ საბალანსო ღირებულებას, რათა განისაზღვროს აუცილებელია თუ არ ანაზღაურებადი ღირებულების ჩამოწერა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება გაგზავნილი თანხებისგან, ბანკებში არსებული ნაღდი ფულისგან, სალაროში ნაღდი ფულისგან და მოკლევადიანი სამთვიანი დაფარვის ვადის მქონე დეპოზიტებისგან, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება შესაბამის თანხებში, ღირებულების ცვილების რისკი უმნიშვნელოა და თავისუფალია დატვირთვებისგან.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ინკასატორის თანხებს და ბანკში არსებულ თანხებს, ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ფულადი ნაშთი წარმოადგენს ფიზიკური პირის მიერ გადახდილ თანხას, რომელიც გადახდილია თვითმომსახურების ტერმინალში ან სალაროში ან გადაირიცხება ჯგუფის საბანკო ანგარიშზე ასეთი თვითმომსახურების ტერმინალიდან ან სალაროდან. იმავდროულად თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროს გამოყენებით გადახდილი თანხას დაკავშირებული მხარის ბანკი ურიცხავს გამყიდველს, რაც იწვევს ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ კრედიტორული დავალიანებების აღიარებას.

ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ინკასატორის თანხები თავდაპირველად განთავსებულია ჯგუფის საბანკო ანგარიშზე, რომელიც გახსნილია დაკავშირებული მხარის ბანკში და შემდეგ გამოიყენება დაკავშირებული მხარის ბანკის მიმართ მონაცემთა დამუშავების ვალდებულებების შესასრულებლად მომდევნო სამ დღეში.

დაბეგვრა

ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა სხვა ორგანიზაციების მიერ მიღებული წლიური მოგება არ იბეგრება საქართველოში 2017 წლის 1 იანვრიდან (შენიშვნა 17). კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება დივიდენდზე და იბეგრება დივიდენდის სახით აქციონერებზე განაწილებულ დივიდენდებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არ არიან საქართველოს რეზიდენტები, სუფთა მოგების განაწილების 15/85 განაკვეთით.

დივიდენდების გადახდის შედეგად წარმოქმნილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი ითვლება ვალდებულებად და ხარჯად პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა დივიდენდი, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, როცა ხდება დივიდენდების გადახდა გარკვეულ გარემოებებში,

საშემოსავლო გადასახადიდან გადასახდელი თანხიდან დაქვითვები ხდება და შესაბამის მოგების განაწილებასთან დაკავშირებული საშემოსავლო გადასახადის შემცირდება, საქართველოს საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიქმნება საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციებისთვის. ჯგუფის აქციონერზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით გადასახადის დაკავება აღიარებულია როგორც კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში კაპიტალიდან დაქვითვა, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გარკვეულ ტრანზაქციებზე კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის დაწესებას, რომლებიც ითვლება მოგების განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასებში, ბიზნესთან არ დაკავშირებულ ხარჯები ან საქონლის და მომსახურებების მიწოდება უფასოდ). ასეთი ტრანზაქციების დაბეგვრა მიიჩნევა საოპერაციო გადასახადების მსგავსად და წარმოდგენილია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეზერვები და გაუთვალისწინებელი ხარჯები

რეზერვები აღიარებულია როცა ჯგუფს აქვს არსებული კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, და აშკარაა, რომ რესურსების გადინება, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს, საჭირო იქნება ვალდებულებების შესასრულებლად და უნდა გაკეთდეს ვალდებულების საიმედო გაანგარიშებული ფასები.

გაუთვალისწინებელი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ წარმოდგენილია, თუ შესრულების დროს ნებისმიერი გადინების შესაძლებლობა შორეული საკითხია. გაუთვალისწინებელი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ წარმოდგენილია, როცა ეკონომიკური სარგებელის შედინება შესაძლებელია.

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. გაცემული აქციის ნომინალური ღირებულებაზე მეტი სიდიდის მიღებული უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება, აღიარებულია როგორც აქციაზე პრემია.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი ფასდება კლიენტებთან გაფორმებულ კონტრაქტებში მითითებული თანხის საფუძველზე და გამორიცხავს მესამე მხარეების სახელით მოგროვილ თანხებს. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როცა ის გადასცემს პროდუქტებსა ან მომსახურებაზე კონტროლს კლიენტს.

მრავალელემენტიანი შეთანხმებებისთვის, ჯგუფი ითვალისწინებს ინდივიდუალურ მომსახურებას ცალკე, თუ ისინი განსხვავებულია. თანხა განაწილებულია ცალკეულ მომსახურებებს შორის მათ ცალკეული გაყიდვის ფასებით. ცალკეული გაყიდვის ფასები განისაზღვრება ფასების ჩამონათვალის საფუძველზე, რომლითაც ჯგუფი ყიდის თავის ტრანსაქციების დამუშავების და ტექმომსახურების მომსახურებებს.

კომპანიამ და ჯგუფმა ადრე მიიღო ფასს 15 *შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან* , 2016 წლის 1 იანვრიდან.

შემოსავლების აღიარებამდე ქვემოთ ჩამოთვლილი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმი ასევე უნდა შესრულდეს:

შემოსავალი მიღების პროცესში მიმდინარე ინფორმაციის დამუშავებიდან

ჯგუფი უზრუნველყოფს ტრანზაქციის მონაცემების დამუშავების მომსახურებებს, რომელიც მოიცავს ფიზიკური პირისგან მიღებული ფულადი თანხებს თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროს

საშუალებით მოვაჭრის მიერ მოწოდებულ მომსახურებებთან დაკავშირებით და ასეთი ფულადი თანხების შემდგომი გადარიცხვა დაკავშირებული მხარის ბანკში, რომელიც იმავდროულად აფინანსებს მოვაჭრეს თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროში გადახდის ტრანზაქციის დასრულებასთან ერთად.

შემოსავალი ტრანზაქციის მონაცემების დამუშავების შედეგად წარმოიქმნება მომსახურებებით, რომელთა ფასი წარმოდგენილია როგორც ტრანზაქციის ღირებულების პროცენტი ან თითოეულ ტრანზაქციაზე კონკრეტული საკომისიო. ასეთი შემოსავალი აღიარებულია აღნიშნული ტრანზაქციის დასრულებასთან დაკავშირებით ვალდებულებების შესრულების შემდეგ.

შემოსავალი პერსონალიზაციის მომსახურებებიდან

ჯგუფის შემოსავალი პერსონალიზაციის მომსახურებებიდან მოიცავს პლასტიკური ბარათების გაცემას და პერსონალიზაციას ან პლასტიკურ ბარათებს ფინანსური და არაფინანსური ინსტიტუტებისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავალი ტექმომსხურებებიდან

ჯგუფი უზრუნველყოფს ტექმომსახურებებს დაკავშირებული მხარის ბანკისთვის, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი თვითმომსახურების ტერმინალები. ჯგუფი ვალდებულებას იღებს შეაკეთოს კონკრეტული მოწყობილობა გაუმართაობის შემდეგ, ყოველთვიურ ფიქსირებულ ფასად თითოეულ თვითმომსახურების ტერმინალზე. შესაბამისად, შემოსავალი ტექმომსახურებებიდან წარმოიქმნება მომსახურებების გაწევის კონკრეტულ დროის პერიოდში. რომელიც არ არის წარმოქმნილი ფაქტობრივად გაწეული ტექმომსახურების შედეგად. ვალდებულებები სრულდება და შემოსავალი აღიარებულია კონტრაქტის ვადაში დროის გასვლის საფუძველზე.

საკომისიოები სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და შემოღებიდან

ჯგუფი ყიდის და ნერგავს არაპერსონალიზებულ სატრანსპორტო ბარათებს ფიზიკურ პირებზე მუნიციპალური ორგანოების მიერ დამტკიცებულ ფიქსირებულ ფასად. სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და დანერგვიდან შემოსავალი აღიარებულია ამ ბარათების გაყიდვის დროს, რადგან ჯგუფს არ აქვს რაიმე შესრულების ვალდებულება გარდა საზოგადოებრივი სატრანსპორტო გადახდის სისტემაში სატრანსპორტო ბარათის გაყიდვისა და დანერგვისა. საკომისიო სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და დანერგვიდან წარმოადგენს შესაბამის შემოსავალს პლასტიკური ბარათების შესაბამისი ღირებულების გარეშე, რადგან ჯგუფი აფასებს თავის ქმედებებს როგორც ასეთი ტრანზაქციების აგენტი (ასევე იხილეთ შენიშვნა 15)

პროცენტიდან შემოსავალი

ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებით, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, კლასიფიცირებულია როგორც დებიტორული დავალიანებები, პროცენტიდან შემოსავალი დაფიქსირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ექსპლუატაციის მოსალოდნელი მომავალი ფულადი შემოსულობების ფინანსური აქტივის სუფთა საბალანსო ღირებულებამდე დისკონტირების საპროცენტო განაკვეთი, პროცენტიდან შემოსავალი შეტანილია მოგებასა ან ზარალში.

ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტაა ლარი. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციის დღეს ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარებულია ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ტრანზაქციის დღეს მოქმედი სავალუტო კურსით. მონეტარული აქტივები და ვადებულებები, რომლებიც წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლთი კურსით, რომელიც ძალაშია ანგარიშგების დღეს. მოგებები და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება უცხოური ვალუტის კონვერტაციის შედეგად, აღიარებულია მოგებასა ან ზარალში სუფთა გაცვითი კურსის დანაკარგის ფარგლებში.

უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციების საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და ტრანზაქციის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლით კურს შორის სხვაობები შეტანილია მოგება/ზარალში გაცვლითი კურსით გამოწვეული ზარალის ფარგლებში. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად იყო 2.6766 და 2.5922 ლარი აშშ დოლართან მიმართებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოშვებული, მარგამ ჯერ ძალაში არ შესული სტანდარტები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების თარიღამდე, გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და არსებული სტანდარტების მიმართ ცვლილებები, რომელიც მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში, და რომელიც ჯგუფს ჯერ არ მიუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ჯგუფზე, ან რომელთა გავლენა ამჟამად ფასდება, შემდეგია:

ფასს 16 იჯარები ფასს 16-ზე გადასვლა

ფასს 16 გამოშვებული იქნა 2016 წლის იანვარში, და მან შეცვალა: ბას 17 -იჯარები, IFRIC 4 განსაზღვრა- მოიცავს, თუ არა ეს შეთანხმება იჯარას, შიჩ-15 საოპერაციო იჯარები - სტიმულირების ღონისძიებები და შიჩ-27 ოპერაციის არსის შეფასება, რომელიც მოიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. ფასს 9-ში განსაზღვრულია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციის და იჯარების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის პრინციპებს და მოითხოვს მოიჯარეებისგან, რომ ბალანსის შემდგომი ერთი მოდელის შესაბამისად ყველა იჯარა ბას 17 -ის შესაბამისად ფინანსური იჯარის აღრიცხვის მსგავსი იყოს. ეს სტანდარტი მოიცავს ორ აღიარებულ გამონაკლის მოიჯარეებთან დაკავშირებით - „დაბალ-ღირებულიანი აქტივების იჯარები” (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (ე.ი. იჯარები 12 თვიანი ან ნაკლები ვადით) და იჯარის დაწყების ვალდებულება, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას გადაიხადოს საიჯარო გადასახდელები (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივი, რომელიც წარმოადგენს უფლებას გამოუყენებელი იყოს განსაზღვრული აქტივი იჯარის ვადაში (ე.ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საპროცენტო დანახარჯი იჯარის ვალდებულებაზე და ცვეთის დანახარჯი აქტივის გამოყენების უფლებაზე.

.მოიჯარეები ასევე ვალდებული არიან გადააფასონ იჯარის ვალდებულება გარკვეული მოვლენების წარმოქმნის შემდეგ (მაგ. ცვლილება იჯარის ვადაში, ცვლილება მომავალ საიჯარო გადახდებში, რომელიც გამოწვეულია ინდექსში და ამ გადახდების განსაზღვრაში გამოყენებულ განაკვეთში ცვლილებით. მოიჯარე ზოგადად აღიარებს იჯარის ვალდებულების გადაფასების თანხას აქტივის გამოყენების უფლების მქონე აქტივის კორექტირების სახით. ფასს 16-ის შესაბამისად მეიჯარის საბუღალტრო აღრიცხვა არსებითად არ განსხვავდება ბას 17-ის შესაბამისად განხორციელებული დღევანდელი საბუღალტრო აღრიცხვისგან. მეიჯარეები გააგრძელებენ ყველა იჯარის კლასიფიკაციას იმავე კლასიფიკაციის პრინციპის გამოყენებით, რომელსაც იყენებს ბას 17 და განასხვავებენ იჯარის ტიპებს : საოპერაციო და ფინანსური იჯარები. ფასს 16 ასევე მოითხოვს მოიჯარეებისგან და მეიჯარეებისგან უფრო ფართოდ წარმოადგინონ ინფორმაცია, ვიდრე ეს ხდებოდა ბას 17 -ის შესაბამისად.

ჯგუფი აპირებს მიიღოს ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით და პირველად გამოიყენოს ის 2019 წლის 1 იანვარს. ჯგუფი აღიარებს კუმულაციურ კორექტირებას ბალანსის დაწყებისას წინა პერიოდის შესადარისი მაჩვენებლების დადასტურების გარეშე. გარდამავალ პერიოდში ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებას იჯარებთან დაკავშირებით, რომელიც ადრე კლასიფიცირებული იყო როგორც საოპერაციო ლიზინგი ბას 17-ის გამოყენებით. საიჯარო ვალდებულება შეფასდება დარჩენილი საიჯარო გადასახდელების არსებული ღირებულებით, დისკონტირებული თავდაპირველი გამოყენების დღეს სესხის ყველაზე დაბალი განაკვეთის გამოყენებით. ჯგუფი ასევე აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას ასეთი იჯარებისთვის, რომლის მოცულობა საიჯარო ვალდებულების ტოლია, და კორექტირებულია აღნიშნული იჯარასთან დაკავშირებული წინასწარ

გადახდილი ან დაგროვილი იჯარის გადახდილი თანხების მიხედვით, აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უშუალოდ თავდაპირველი გამოყენების დღემდე. ჯგუფი იყენებს შემდეგ პრაქტიკულ გამოცდილებებს:

- ჯგუფი იყენებს ერთ დისკონტირების განაკვეთს ფაქტობრივად მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარის პორტფელის მიმართ.
- ჯგუფი ეყრდნობა თავის შეფასებას რამდენად გაუჭირდებათ აღებულ იჯარებს გამოიყენონ ბას 37 რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები უშუალოდ თავდაპირველი გამოყენების დღემდე, როგორც გაუფასურების ანალიზის განხორციელების ალტერნატივა.
- ჯგუფი გამორიცხავს თავდაპირველი გამოყენების დღეს გამოყენების უფლების მქონე აქტივის შეფასებიდან მიღებულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს.

ჯგუფი აირჩევს საიჯარო კონტრაქტების შესახებ სტანდარტით შემოთავაზებული გამონაკლისების გამოყენებას, იმ საიჯარო კონტრაქტებთან დაკავშირებით, რომლის საიჯარო ვადა სრულდება იჯარით გაცემულ აქტივებთან და საიჯარო კონტრაქტებთან დაკავშირებით, 12 თვეში, და რომლისთვისაც აღნიშნული აქტივი დაბალი ღირებულებისაა.

2018 წლის განმავლობაში, ჯგუფმა განახორციელა ფასს 16-თან დაკავშირებული დეტალური ზემოქმედების შეფასება. ფასს 16-ის მიღებით გამოწვეული ზემოქმედება უმნიშვნელოა..

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისთვის აუცილებელია შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები გავლენას ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების ასახულ მოცულობაზე ანგარიშგების დღეს, ასევე გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ასახულ შემოსავალსა და ხარჯებზე. იმის მიუხედავად, რომ შეფასებები ეფუძნება ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული ფაქტებზე მსჯელობას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა ამ შეფასებებისგან განსხვავებული იყოს.

.ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკას გამოყენების პროცესში, ხელმძღვანელობამ გააკეთა შემდეგი შეფასებები, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე:

სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და დანერგვიდან მიღებული თანხების აღიარება და ასახვა

ჯგუფი ყიდის და გადასცემს ფიზიკურ პირებს არა პერსონალიზებულ სატრანსპორტო ბარათებს მუნიციპალური ხელისუფლების მიერ დამტკიცებულ ფიქსირებულ ფასად. სატრანსპორტო ბარათი თავისთავად არის უფრო მოხერხებული გზა საზოგადოებრივ ტრანსპორტში მხოლოდ მომსახურებების ღირებულების გადასახდელად,

ჯგუფის აზრით ის ხელს უწყობს სატრანსპორტო ბარათების გაყიდვასა და დანერგვას, და ამიტომ თვლის რომ მისი მოვალეობაა უზრუნველყოს ფიზიკური პირებისთვის სატრანსპორტო ბარათების მიყიდვა და შესაბამისად ასრულებს ამას კონკრეტულ დროში. ჯგუფი გადასცემს უფლებას თავის კლიენტებს გადაიხადონ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებების ღირებულება სატრანსპორტი ბარათის გამოყენებით და არ არის პასუხისმგებელი სატრანსპორტო მომსახურებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით დაპირების შესრულებაზე. გარდა ამისა ჯგუფს არ აქვს მითითება განსაზღვროს სატრანსპორტო ბარათების ფასი, რადგან ის ყიდის მათ მუნიციპალური ხელისუფლების მიერ დამტკიცებულ ფიქსირებულ ფასად. ჯგუფს აქვს მხოლოდ ინვენტარის რისკი, რაც შემოიფარგლება პლასტიკური ბარათების ღირებულებით.

ზემოთ განხილული მითითებების გათვალისწინებით, ჯგუფი აფასებს თავის ქმედებებს, როგორც ასეთი ტრანსზაქციების აგენტი, რომელიც აღიარებს სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და დანერგვიდან შემოსავალს გარკვეულ დროში პლასტიკურ ბარათებთან დაკავშირებული ღირებულების გარეშე.

5. ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებების დინამიკა იყო:

	თვითმომსახურების ტერმინალები და არამიმდინარე სათადარიგო ნაწილები	*მიწა და ნაგებობები*	*ავეჯი და მოწყობილობა*	*კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა*	*ავტომობილები*	*ოჯარითალებული ქონების გაუმჯობესება*	*სხვა მოწყობილობა*	*სულ*
რირებულება								
31 დეკემბერი 2016	**16,972**	**918**	**544**	**4,210**	**345**	**579**	**141**	**23,709**
ზრდა	2,963	11	57	775	116	113	302	4,337
რეალიზაცია	(494)	-	(54)	(935)	(125)	-	(12)	(1,620)
31 დეკემბერი 2017	**19,441**	**929**	**547**	**4,050**	**336**	**692**	**431**	**26,426**
ზრდა	1,165	13	167	2,170	121	76	9,740	13,452
რეალიზაცია	(1,772)	-	(47)	(611)	(94)	(3)	(369)	(2,896)
31 დეკემბერი 2018	**18,834**	**942**	**667**	**5,609**	**363**	**765**	**9,802**	**36,982**
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი 2016	**4,468**	**14**	**299**	**2,237**	**177**	**125**	**62**	**7,382**
გაუფასურების დანარიცხი	1,910	9	58	789	54	86	20	2,926
რეალიზაცია	(82)	-	(54)	(932)	(78)	-	(12)	(1,158)
31 დეკემბერი 2017	**6,296**	**23**	**303**	**2,094**	**153**	**211**	**70**	**9,150**
გაუფასურების დანარიცხი	2,020	9	66	869	70	100	19	3,153
რეალიზაცია	(867)	-	(46)	(602)	(82)	(3)	(45)	(1,645)
31 დეკემბერი 2018	**7,449**	**32**	**323**	**2,361**	**141**	**308**	**44**	**10,658**
წმინდა საბალანსო ღირებულება:								
31 დეკემბერი 2017	**13,145**	**906**	**244**	**1,956**	**183**	**481**	**361**	**17,276**
31 დეკემბერი 2018	**11,385**	**910**	**344**	**3,248**	**222**	**457**	**9,758**	**26,324**

6. არამატერიალური აქტივები

	ღირებულება	*ამორტიზაციის დანარიცხი*	*სუფთა საბალანსო ღირებულება*
31 დეკემბერი 2016	**5,931**	**(1,612)**	**4,319**
ზრდა / (ამორტიზაციის დანარიცხი)	1,463	(842)	
რეალიზაცია	(218)	215	
საპრეზენტაციო ვალუტაში კონვერტირების ეფექტი	1	–	
31 დეკემბერი 2017	**7,177**	**(2,239)**	**4,938**
ზრდა // (ამორტიზაციის დანარიცხი)	2,611	(1,200)	
რეალიზაცია	(294)	294	
31 დეკემბერი 2018	**9,494**	**(3,145)**	**6,349**

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31-დეკ-2018	*31-დეკ-2017*
სათადარიგო ნაწილები	2,851	1,252
პლასტიკური სატრანსპორტო ბარათები	133	236
სხვა	726	514
სულ **სასაქონლო-მატერიალური მარაგები**	**3,710**	**2,002**

8. ავანსი და სხვა მოკლევადიანი აქტივები

	31-დეკ-2018	*31-დეკ-2017*
მოქმედი საგადასახადო ვალდებულება	1,053	1,068
მომსახურებების ავანსი	135	219
ინვენტარისთვის ავანსი	181	214
ავანსი დაკავშირებული მხარეებისთვის (შენიშვნა 19)	-	12
სხვა	46	63
სულ ავანსი და სხვა მოკლევადიანი აქტივები	**1,415**	**1,576**

9. დებიტორული დავალიანებები

	31-დეკ-2018	*31-დეკ-2017*
დებიტორული დავალიანებები დაკავშირებული მხარეებისგან (შენიშვნა 19)	1,388	1,267
სხვა დებიტორული დავალიანებები receivables	680	429
	2,068	**1,696**
გამოკლებულ - გაუფასურების რეზერვი	(165)	(26)
სულ დებიტორული დავალიანება, სუფთა	**1,903**	**1,670**

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულება გონივრულად აახლოებს ერთმანეთთან მათ სამართლიან ღირებულებას. გადახდის პირობები მერყეობს 5-დან 30 კალენდარული დღის დიაპაზონში.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის დებიტორული დავალიანებები შესაბამისად თავდაპირველი საბალანსო ღირებულებით იყო 139 ათასი ლარი და 21 ათასი ლარი, გაუფასურდა და სრულად წარდგენილია სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯების ხაზში.

.

10. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტოინსტიტუტებში ასახული თანხები წარმოდგენილი იყო მოკლევადიანი განთავსებით ბანკებში თავდაპირველი დაფარვის ვადით 6-დან 12 წლამდე. 2018 და 2017 წელებში, ჯგუფმა შესაბამისად მიიღო 63 ლარი და 18 ლარი პროცენტიდან შემოსავალი.

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31-დეკ-2018	*31-დეკ-2017*
დასახლებისთვის გაგზავნილი თანხა	24,048	15,561
დასახლებასთან დაკავშირებით დაკავშირებული მხარის საბანკო ანგარიშზე თანხა (შენიშვნა 19)	2,596	22,076
თანხა დაკავშირებულ საბანკო ანგარიშზე	5,217	4,396
თანხა არდაკავშირებულ საბანკო ანგარიშზე	197	42
სალაროში არსებული თანხა	1,098	1,459
სულ ფული და მათი ეკვივალენტები	**33,156**	**43,534**

დასახლებისთვის გაგზავნილი თანხა ასახავს ფიზიკური პირებისგან მიღებულ თანხას დაკავშირებული მხარის საბანკო ანგარიშზე მის დეპონირებამდე.

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან აღიარებულია შენიშვნაში 19.

ფული და ფულის ეკვივალენტების საბანკო ანგარიშებზე მოიცავს პროცენტს მცურავი კურსით, რომელიც ეფუძნება საბანკო დეპოზიტზე დღიურ განაკვეთს. ჯგუფის ხელმძღვანელობა არ მოელის რაიმე დანაკარგს ბანკის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობიდან, სადაც ინახება ფული და ფულის ეკვივალენტები, და არ არის რაიმე მნიშვნელოვანი სხვაობა მათ საბალანსო და სამართლიან ღირებულებებს შორის.

12. კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბერს მდგომარებით გამოშვებული და გადახდილი სააქციო კაპიტალი მოიცავდა 23,316 ჩვეულებრივ აქციას ერთი ქართული ლარის ნომინალური ღირებულებით და 4,257 ლარის აქციაზე პრემია.

შემოსავალი აქციაზე

საბაზისო შემოსავალი აქციაზე გაანგარიშდება წლის სუფთა მოგება, რომელიც მიეკუთვნება ჯგუფის ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს, გაყოფილი წლის განმავლობაში შეწონილი საშუალო რაოდენობის ჩვეულებრივ აქციაზე. ჯგუფის განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე უდრის საბაზისო შემოსავალს ერთ აქციაზე რადგან არ არის განზავებული პოტენციური ჩვეულებრივი აქციები. .

ქვემოთ ასახულია მოგება და აქციის მონაცემები, რომლებიც გამოიყენება ერთ აქციაზე საბაზისო შემოსავლების გაანგარიშების დროს:

	2018	*2017*
ჩვეულებრივის აქციების მფლობელებს მიკუთვნებული სუფთა მოგება	4,583	2,790
ჩვეულებრივი აქციების შეწონილი საშუალო რაოდენობა	23,316,420	23,316,420
საბაზისო და განზავებული შემოსავლები ერთ აქციაზე ლარში	**0.20**	**0.12**

13. კრედიტორული დავალიანებები

	31-დეკ-2018	*31-დეკ-2017*
გადასახდელი დაკავშირებული მხარეებისთვის (შენიშვნა 17)	25,086	34,761
დასახლებასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანებები	3,188	3,748
დანარიცხები თანამშრომლის კომპენსაციისთვის	870	648
მოქმედი გადასახდელი გადასახადები	447	332
ძირითად საშუალებასა და არამატერიალურ აქტივებზე კრედიტორული დავალიანებები	341	3
სხვა კრედიტორული დავალიანება	338	308
სულ კრედიტორული დავალიანება	**30,270**	**39,800**
მიმდინარე	30,270	39,800

არა მიმდინარე	-	–

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო მაჩვენებლები გონივრულად აახლოებს მათ სამართლიან ღირებულებებს.

14. შემოსავლები კლიენტებთან კონტრაქტებიდან

ჯგუფი უზრუნველყოფს მომსახურებებს ქსელურ ოპერაციებზე და ტექმომსახურებაზე, ასევე საოპერაციო მონაცემების დამუშავებას და პერსონიზებულ მომსახურებებს თავისი კლიენტებისთვის, ე.ი. სს საქართველოს ბანკს თვითმომსახურების ტერმინალების საშუალებით და სხვა კლიენტებს სალაროების საშუალებით. ჯგუფის აზრით მომსახურებები სრულდება დროთა განმავლობაში, იმ პირობით, რომ კლიენტები იმავდროულად იღებენ და მოიხმარენ ჯგუფის მიერ მოწოდებულ სარგებელს.

ჯგუფის ერთერთი შვილობილმა კომპანია, შპს მეტრო სერვის პლუსმა, თავდაპირველად 2006 წელს 10 წლით, ხელი მოაწერა კონტრაქტს ტრანზაქციის მონაცემების დამუშავების მომსახურებასთან დაკავშირებით სს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან. 2016 წლის მარტსა და 2017 წლის ივლისს შორის პერიოდში, სს მეტრო სერვის პლუსმა ხელი მოაწერა რამდენიმე დამატებით ხელშეკრულებას, იმ პირობით, რომ საკონტრაქტო პერიოდი გაგრძელდება 2018 წლის ოქტომბრამდე. ამ დამატებითი ხელშეკრულებების მიხედვით, შპს მეტრო სერვის პლუსი განიხილებოდა როგორც ქვეკონტრაქტორი და დაიწყო მოსაკრებლების მიღება ტრანზაქციის მონაცემების დამუშავებისთვის თავისი მომსახურებასთან დაკავშირებული მხარის ბანკისგან, საქართველოს ბანკისგან. გარდა ამისა, შპს მეტრო სერვის პლუსი, ვალდებული იყო გადაერიცხა კონკრეტული აქტივები თბილისის მერიაში უფასოდ, შესაბამისად შპს მეტროს სერვის პლუსმა აღიარა ამ აქტივების ღირებულება სხვა საოპერციო ხარჯების ფარგლებში 2017 წელს (იხილეთ ასევე შენიშვნა 15).

2017 წლის 15 სექტემბერს, ჯგუფის მომსახურებასთან დაკავშირებული მხარის ბანკმა, სს საქართველოს ბანკმა, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას თბილისის მერიასთან ექსკლუზიურ უფლებასთან დაკაშირებით ოპერირება გაუწიოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემას თბილისში. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, სს საქართველოს ბანკი, როგორც საზოგადოებრივი სატრანსპორტო ქსელის გადახდის მომსახურებების ერთადერთი პროვაიდერი, გააგრძელებს საცალო ფილიალების ოპერირებას თბილისის მეტროს სადგურებში მომდევნო ათი წლის განმავლობაში. სს საქართველოს ბანკი დანერგავს თანამედროვე გადახდის სისტემას საზოგადოებრივი სატრანსპორტო ქსელისთვის თბილისში, მათ შორის გადახდის მონაცემების დამუშავებას Visa და MasterCard ბარათების გამოყენებით, და შექმნის ციფრულ პლატფორმას ბილეთების დაჯავშნისა და შესყიდვისთვის მობილური აპლიკაციების საშუალებით.

2018 წლის თებერვალში, სს საქართველოს ბანკმა და სს მეტრო სერვის პლუსმა, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც, ჯგუფი იქნება ქვეკონტრაქტორი და ოპერირებას გაუწევს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემას თბილისში ახალი ათის წლის ვადით, 2018 წლის ოქტომბრიდან დაწყებული.

საკონტრაქტო აქტივები და ვალდებულებები

ჯგუფმა აღიარა ქვემოთ წარმოდგენილი შემოსავალთან დაკავშირებული საკონტრაქტო აქტივები და ვალდებულებები:

	2018	*2017*
დებიტორული დავალიანებები	1,838	1,032
მიღებული ავანსი	8,822	301

დებიტორული დავალიანებები აღიარებულია, როცა გადახდილ თანხაზე უფლება გახდება უპირობო.

ჯგუფი იყენებს ფასს 15.121-ში ნახსენებ პრაქტიკულ გამოცდილებას და არ ასახავს ინფორმაციას ტრანზაქციის ფასის მთლიანი თანხის შესახებ, რომელიც ეხება შეუსრულებელ ვალდებულებებს, რადგან ჯგუფს აქვს უფლება მიღოს კლიენტისგან თანხა იმ მოცულობით, რომელიც პირდაპირ შეესაბამება კლიენტთან არსებულ ღირებულებებს

15. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები

	2018	*2017*
სუფთა მოგება გადაიარაღების მომსახურებების და მოწყობილობის გაყიდვიდან	437	182
შემოსავალი ბილეთის ველიდატორების დამონტაჟებიდან	-	849
იჯარიდან შემოსავალი	953	822
შემოსავალი პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვიდან	206	310
ურთიერთკავშირის გადასახადი	321	266
სხვა საოპერაციო შემოსავალი	235	267
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	**2,152**	**2,696**
თბილისის მერიისთვის გადარიცხული აქტივების ღირებულება (შენიშვნა 14)	(409)	(1,301)
რემონტი და ტექმომსახურება	(1,758)	(1,585)
გამოყენებული სასაქონლო მარაგების ღირებულება	(1,355)	(792)
საკომუნიკაციო ქსელი	(792)	(655)
მოქმედი გადასახადები	(615)	(479)
თანხის ამოღება	(360)	(350)
საკომისიო	(362)	(279)
ელექტროენერგია, წყალი, გაზი და სხვა კომუნალური მომსახურებები	(215)	(272)
პროფესიული მომსახურებები (აუდიტი)	(115)	(209)
პროფესიული მომსახურებები (სხვა)	(178)	(209)
მოპარული და დაზიანებული ბანკნოტები	(170)	(187)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან სუფთა ზარალი	-	(15)
დებიტორული დავალიანების რეზერვი	(114)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,104)	(666)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**(7,547)**	**(6,790)**

16. ხელფასები და სხვა თანამშრომელთა ანაზღაურება

	2018	*2017*
ხელფასები და სხვა სარგებლები	9,600	8,054
ფულადი ბონუსები	881	754
სულ ხელფასები და სხვა თანამშრომელთა ანაზღაურება	**10,481**	**8,808**

17. დაბეგვრა

2016 წლის ივნისში, ძალაში შევიდა კორპორატიულ საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებული საქართველოს საგადასახადო კანონის ცვლილებები. ეს ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, რომლებისთვისაც ცვლილებები ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან. ახალი რეგულაციის შესაბამისად კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი დაიბეგრება იმ აქციონერებზე დივიდენდის სახით უფრო განაწილებულ მოგებიდან, რომლებიც არიან საქართველოს ფიზიკური პირების ან არარეზიდენტები, და არა მიღებული მოგებიდან. დივიდენდის განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის მოცულობა გაანგარიშდა როგორც სუფთა განაწილების თანხის 15/85. კომპანიებს შეუძლიათ ურთიერთ ჩათვალონ კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან დივიდენდის განაწილებიდან კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მოცულობით, გადახდის შესაბამის პერიოდისთვის არსებული რეგულაციის შესაბამისად. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება კორპორატიულ საშემოსავლო გადასახადს.

ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბერს. ჯგუფმა სრულად შეაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ბას 12-ის *საშემოსავლო გადასახადები*- მოთხოვნის საფუძველზე, რათა შეეფასებინა გადავადებული გადასახადები 0% საგადასახდო განაკვეთით, რომელიც გამოიყენება გაუნაწილებელი მოგების მიმართ 2017 წლის 1 იანვრიდან. 2018 და 2017 წლებში, ჯგუფს არ გაუნაწილებია მოგება (დივიდენდები). ხელძღვანელობა დარწმუნებულია რომ ჯგუფი არსებითად შესაბამისობაშია საგადასახადო კანონმდებლობასთან, რომელიც გავლენას ახდენს მის ოპერაციებზე. თუმცა არსებობს რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა შესაძლოა დაიკაონ განსხვავებული პოზიცია ინტერპრეტაციის საკითხებთან დაკავშირებით.

18. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოქმნილი რისკი

თავისი ჩვეული საქმიანობის ფარგლებში ჯგუფმა ასახა საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი და ბაზრის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს მიადგება ზარალი მისი მომხმარებლების, კლიენტების ან კონტრაგენტების მხრიდან, თუ ისინი ვერ შეასრულებენ საკონტრაქტო ვალდებულებებს. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰქონდა საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა:

- ნაღდი ფული ბანკებში და თანხები საკრედიტო ინსტიტუტებში

  2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა განათავსა 7,813 ათასი ლარი და 26,472 ათასი ლარი შესაბამისად დაკავშირებული მხარის ბანკში, რომელსაც აქვს ფითჩის რეიტინგებისგან Moody's და *BB-/B* -ის Standard & Poor's, *B1/NP (FC) & Ba3/NP (LC)* -გან მინიჭებული *BB-/B რეიტინგი*

- დებიტორული დავალიანებები

  ჯგუფისა და კომპანიის დებიტორული დავალიანებები ძირითადად წარმოდგენილია ლარში და გადასახდელია სააგარიშგებო თარიღიდან 3 თვის განმავლობაში. მნიშვნელოვანი დებიტორული დავალიანებები არ არის ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს თავისი ყველა გადახდის ვალდებულების შესრულებას, როცა მათი გადახდის ვადა დადგება ნორმალური ან სტრესული გარემოებების შესაბამისად. ჯგუფის ლიკვიდურობის რისკი, ანალიზდება და იმართება ხელმძღვანელობის მიერ.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება შესასრულებელია 2 თვეში და საკონტრაქტო არადისკონტირებული თანხის დაბრუნების ვალდებულებები მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

ბაზრის რისკი

ბაზრის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება, ბაზრის ისეთ ცვლად მაჩვენებლებში ცვლილებების გამო, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები და გაცვლითი კურსის განაკვეთები. ჯგუფს არ აქვს მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი.

19. დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები

ბასს 24-ის -*დაკავშირებული მხარის რისკები*- შესაბამისად, მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს სხვა მხარე ან გამოიყენოს მნიშვნელოვანი გავლენა სხვა მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას, ან თუ მხარეები არიან ერთიდაიმავე ჯგუფის შვილობილი კომპანიები. თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება უნდა მიექცეს ურთიერთობის შინაარსს, და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლია შევიდეს გარიგებებში, რომლებშიც არ შევლენ არდაკავშირებული მხარეები, და გარიგებებმა დაკავშირებულ მხარეებს შორის შესაძლოა გავლენა არ მოახდინოს იმავე პირობებით და მოცულობით, როგორც ეს არის არდაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებების დროს, ყველა გარიგება დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა დამოუკიდებელი მხარეების პრინციპზე.

დაკავშირებული მხარის გარიგებების მოცულობები და ჯგუფის ვალის ნაშთები 31 დეკემბრისთვის იყო შემდეგი: .

	31-დეკ-2018		*31-დეკ-2017*	
	*მშობელი**	*ორგანიზაციები საერთო კონტროლის ქვეშ*	*მშობელი**	*ორგანიზაციები საერთო კონტროლის ქვეშ*
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	–	7,813	–	26,514
თანხები საკრედიტო ინსტიტუტებში	–	1,037	–	1,572
დებიტორული დავალიანებები	–	1,388	–	1,267
ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	–	-	–	12
	–	**10,238**	**–**	**29,365**
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანებები	–	25,086	–	34,761
მიღებული ავანსები	–	4,450	–	654
	–	**29,536**	**–**	**35,415**

ქვემოთ ცხრილი ასახავს ჯგუფის ტრანზაქციების მთლიან მოცულობას, რომლებიც გაფორმდა დაკავშირებულ მხარეებთან:

	2018		*2017*	
	*მშობელი**	*ორგანიზაციები საერთო კონტროლის ქვეშ*	*მშობელი**	*ორგანიზაციები საერთო კონტროლის ქვეშ*
გაყიდვები				
ტრანზაქციის მონაცემების დამუშავებიდან შემოსავალი	–	10,107	–	16,174
შემოსავალი ტექმომსახურებიდან	–	454	–	1,017
შემოსავალი პერსონალიზაციის მომსახურებებიდან	–	422	–	529
	–	**10,983**	**–**	**17,720**
სხვა საოპერაციო შემოსავალი				
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან (ა)	–	7	–	72
სხვა საოპერაციო შემოსავალი	–	4,626	–	2,873
	–	**4,633**	**–**	**2,945**
შესყიდვები და ხარჯები				
იჯარა	–	313	–	(478)
სასაქონლო მარაგების შესყიდვა	–	–	–	(444)
სხვა საოპერაციო ხარჯები	–	420	–	(939)
	–	**733**	**–**	**(1,861)**
სხვა პუნქტები				
საპროცენტო შემოსავალი	–	–	–	52
საპროცენტო ხარჯი	–	23	–	(9)

(ა) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან შემოსავალი შეტანილია ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან სუფთა მოგებაში სხვა საოპერაციო შემოსავლის ფარგლებში.

(ბ) სასაქონლო მარაგების გაყიდვიდან შემოსავალი შეტანილია სასაქონლო მარაგების გაყიდვიდან სუფთა მოგებაში სხვა საოპერაციო შემოსავლის ფარგლებში.

2018 და 2017 წლებში, ჯგუფის ხელმძღვანელი რგოლის პერსონალის კომპენსაცია შესაბამისად შეადგენს 441 ათას ლარს და 509 ათასი ლარს.

20. მოვლენები საანგარიშგებო თარიღის შემდეგ

2019 წლის 6 აპრილს ჯგუფმა შეისყიდა შვიდი ახალი ავტომობილი (თითოეული 35 ათასი ლარის ღირებულების) აღჭურვილი არმირებული კაბინებით და სპეციალური ნებართვებით, რათა შეიცვალოს ფულის მოგროვების მეთოდი თბილისში. ამ მეთოდმა ჩაანაცვლა ძველი მეთოდი, რომლის მიხედვითაც მთელი პროცესი ხორციელდება ავტომობილების საშუალებით რაიმე სპეციალური ტიპის აღჭურვილობის გარეშე და მათ ფლობენ ფულის მომგროვებლები.

2019 წლის 8 აპრილს ჯგუფმა აიღო ახალი სესხი 300 ათასი ლარი დაკავშირებული მხარის კომპანიისგან. სესხის ვადა 36 თვეა და საპროცენტო განაკვეთი 10.7%-ია.

სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

2018

სექტემბერი, 2019

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი ასახვს სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ ჯგუფის ძირითადი საქმიანობის მიმოხილვას, ფაქტობრივ მაჩვენებლებზე დაფუძნებულ მიღწევებსა და განვითარების პერსპექტივას. აქვე განხილულია ჯგუფში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები და ის ბიზნეს რისკები რომლებმაც შესაძლოა ეგავლენა მოახდინონ ჯგუფის საქმიანობაზე.

წარდგინება გენერალური დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ ჩვენი საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“-ში და მასში შემავალ კომპანიებში, ჩვენ გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხსიმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

საქმიანობის მიმოხილვა

ორგანიზაციის შესახებ

სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ დაფუძნებულია 2007 წელს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში და ჯგუფში აერთიანებს ელექტორნული გადახდების ინდუსტრიაში მოღვაწე შვილობილ კომპანიებს.

სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ ჯგუფის შექმნის მიზანს დასაწყისშივე წარმოადგენდა ქართულ საგადახდო სისტემაში რევოლუციური გადაწყვეტებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების უახლესი სტანდარტების დამკვიდრება. ჩვენი სერვისები კლიენტებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ გადახდის თანამედროვე სისტემებით, შეამცირონ საოპერაციო ხარჯები, დახვეწონ რისკების მართვა და ამასთან კლიენტზე მორგებულ მიდგომასთან ერთად ჩვენ უპირატესობას წარმოადგენს მომხმრებელთა პირადი მონაცემებისა და მათი ქონების ეფექტური დაცვა.

ჯგუფში შემავალი კომპანიები 2006 წლიდან მომსახურებას უწევენ ფინანსურ დაწესებულებებს, სამთავრობო სააგენტოებს, სატელეკომუნიკაციო კომპანიების, მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორებს და ფიზიკურ პირებს.

„ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ ჯგუფში შემავალი კომპანიებია:

სს „ჯორჯიან ქარდი“ - www.GeorgianCard.ge
შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ - www.DDG.ge
შპს “მერტო სერვის +” – www.MS+.ge
შპს „დიდი დიღმის კვლევითი ცენტრი“

სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზი“ მუდმივად ნერგავს ინოვაციურ სერვისებს კლიენტებისთვის და არა მარტო მათთვის. საზოგადოებაში ფართოდ გამოიყენება ისეთი სერვისები, როგორიცაა პროგრამული უზრუნველყოფა და ბანკინგის აპლიკაციები სმარტფონებისთვის.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

რას ვსაქმიანობთ

ბანკომატებისა და POS ტერმინალების ქსელის მართვა

სს „ჯორჯიან ქარდის“ მომსახურება მოიცავს ბანკომატებისა და POS ტერმინალების სისტემურ მხარდაჭერასა და მენეჯმენტს, ლოკალური ქსელისა და უკაბელო ერთეულების ჩათვლით, ტექნიკოსთა გუნდი „რეალურ დროში“ აკვირდება სისტემის ფარგლებში არსებულ ყველა ბანკომატისა და POS ტერმინალის ოპერაციების შესრულებას, რათა უზრუნველყოს მუშაობის უწყვეტობა და ერთიანობა.

ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის მოკრების ავტომატიზებული სისტემები

შპს „მეტრო სერვის+“-ის მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის მოკრების სისტემა ამცირებს საოპერაციო დანახარჯებს, ახდენს მგზავრობის საფასურიდან მიღებული შემოსავლების ოპტიმიზაციას, ზრდის მომგებიანობას, მგზავრობა კი, კომფორტულია. მგზავრობის საფასურის მოკრების სისტემას, ცენტრალიზებული საპროცესო ცენტრის მეშვეობით, შეუძლია ყველა გადახდის ელექტრონული დამუშავება, რაც მთლიანად აუქმებს ნაღდი ფულის გამოყენებას, მათ ყოველდღიურ ინკასაციას და ბილეთების შესაძენად რიგებში მდგომი მგზავრების რაოდენობას.

კლიენტზე მორგებული პროგრამული უზრუნველყოფა

ჩვენ ფოკუსირებული ვართ უზრუნველვყოთ კლიენტების ინფორმირებულობა, ვუწევთ კონსულტაციას ახალი პროგრამული პროდუქტის დიზაინისა და ინფრასტრუქტურის შესახებ, ასვე შემდგომ მხარდაჭერასა და კომუნიკაციას. კლიენტთა მხარდაჭერის ჯგუფი 24/7 რეჟიმში მუშაობს.

ჩვენს ინჟინერთა გუნდს შეუძლია სპეციფიკურად მორგებული, ცალკე მდგომი ან ინტეგრირებული პროგრამების შექმნა, თითოეული კლიენტის უნიკალური გამოწვევების გადასაწყვეტად, რაც მოიცავს:

- ელექტრონული ვაჭრობის გადაწყვეტებს;
- მობილურ საბანკო აპლიკაციებს;
- გადახდის, ინფორმაციის განაწილებისა და დაგზავნის აპლიკაციებს სმარტფონებისათვის;
- ინტერნეტზე-ბაზირებული პლატფორმების შექმნას;
- სხვა გადახდების, მგზავრობის საფასურის მოკრების გადაწყვეტებს.

ქსელის სტატუსის მართვა

ჰოლდინგის ფრგლებში შექმნილი ქსელის სტატუსის მართვის პროგრამა წარმოადგენს საყოველთაო ქსელის მონიტორინგის სისტემას, რომელიც „რეალურ დროში“ ამკვირდება კლიენტების, სისტემების ფარგლებში არსებული ყველა ბანკომატისა და ტერმინალის საოპერაციო სტატუსს. ფინანსური დაწესებულებების, კორპორაციების, გადახდების პროვაიდერების და გადახდის ქსელის ოპერატორებისათვის, ქსელის სტატუსის მართვა წარმოადგენს სისტემის მონიტორინგის, მათი მონაცემთა ცენტრებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ეფექტიანად და ეკონომიურად მართვის საუკეთესო საშუალებას, რომელიც იძლევა მრავალ სარგებელს:

- გადახდის მოწყობილობათა მონიტორინგის შესაძლებლობას;
- ქსელის მოწყობილობების რეალურ დროში მონიტორინგის საშუალებას;
- გათიშვებისა და სხვა ტექნიკური შეფერხებებზე სწრაფი და პრო-აქტიური რეაგირების საშუალებას.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

რას ვსაქმიანობთ (გაგრძელება)

ოპერაციების დამუშავება

სს „ჯორჯიან ქარდში“, როგორც საპროცესინგო ცენტრში ოპერაციების დამუშავების მთავარი დანიშნულებაა, წევრი დაწესებულებებისა და ბარათების მფლობელთა სავაჭრო ობიექტებსა და სხვა მომსახურების მომწოდებლებთან, უსაფრთხო ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა იმ მიდგომით, რომელიც არა მარტო მოქნილი და სწრაფია, არამედ ფასეულობას მატებს, როგორც სერვისის მომწოდებლის, ასევე ცალკეული ბარათის მფლობელის ფუნქციონალობასა და კომფორტულობას.

ჩვენს მიერ შექმნილი ბარათების ოპერაციების გადაწყვეტა მოიცავს:

- ოპერაციების დამუშავებას;
- ბანკომატის/POS ტერმინალის ქსელის მართვას;
- მოწყობილობების შეძენას, მიწოდებას და მხარდაჭერას;
- სამგანზომილებიან (3D) უსაფრთხო ოპერაციებს;
- თაღლითობისაგან დაცვის სისტემას;
- სავაჭრო ობიექტისა და ბარათების დამუშავების სერვისებს.

დამუშავების საშუალებათა ფართო სპექტრი მოქმედებს Visa, Master Card, American Express, UPI და Diner’s Club -ის სადებეტო და საკრედიტო ბარათებზე (უკონტაქტოების ჩათვლით), კერძოდ, მაგნიტურზოლიან და ჩიპიან საბარათე პროგრამებზე.

ბარათის პერსონალიზაცია

ჯგუფის ფარგლებში ჩვენ გვაქვს საშუალება დავბეჭდოთ პერსონიფიცირებული დიზაინის ბარათების ნებისმიერი რაოდენობა. მრავალ პლატფორმიანი ინფრასტრუქტურისა და საერთაშორისო პარტნიორობების მეშვეობით, ჩვენი კლიენტებისათვის უზრუნველვყოფთ ინოვაციური ტექნოლოგიებისა და პრო-აქტიური სერვისების მოხერხებულ კომბინაციას.

კლიენტების შემდგომი მხარდაჭერის მიზნით, ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს პროექტების მართვისა და საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა, რისი მეშვეობითაც შესაძლებელია საერთაშორისო გადახდების პარტნიორებთან, ბარათების სერთიფიცირებასა და ლიცენზირებასთან დაკავშირებული ყველა პროცესის მართვა, მოწყობილობებისა და მომწოდებლების არჩევაში დახმარება, ბარათების მიმოქცევაში გაშვებისა, ბაზრის შენარჩუნების დაგეგმვა და მიმდინარე საბარათე პროგრამების მხარდაჭერა.

მრავალფუნქციური თვითმომსახურების ტერმინალები

ჯგუფში შემავალი კომპანია - „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ თვითმომსახურების ტერმინალების განსათავსებლად ლოკაციების მოძიებას, მათ ტექნიკურ მხარდაჭერასა და გამართვას უზრუნველყოფს. ასევე ტერმინალებში მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხების აკუმულირებას.

საქართველოს მასშტაბით თითქმის ნებისმიერ წერტილში არსებული თვითმომსახურების ტერმინალები მორგებულია თანამედროვე ადამიანების მოთხოვნებზე და საშუალებას იძლევა, მაქსიმალურად მცირე დროში და მცირე ძალისხმევით შესაძლებელი გახადოს წვდომა ნებისმიერი ტიპის სერვისის საფასურის გადახდაზე. საგადახდო მომსახურებას ვახორციელებთ შემდეგი კატეგორიის და კიდევ სხვა მრავალი სერვის პროვაიდერისათვის:

- კომუნალური და საკაბელო ტელევიზიის პროვაიდერები;
- მობილური, სატელეფონო და ინტერნეტ ოპერატორები;
- სახელმწიფო ბიუჯეტში შემავალი გადასახადები;
- პარკინგი და სატრანსპორტო გადასახადი;

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

რას ვსაქმიანობთ (გაგრძელება)

მრავალფუნქციური თვითმომსახურების ტერმინალები (გაგრძელება)

- საბანკო მომსახურება, როგორიცაა დეპოზიტები, საკრედიტო და სხვა გადახდები;
- საქველმოქმედო შემოწირულობა;
- კინოს და თეატრისა თუ სხვა ღონისძიებების ბილეთები.

ეს მხოლოდ არასრული ჩამონათვალია, მრავალფუნქციური მომსახურების განახლება ხდება ძალიან ხშირად.

2016 წელს „იუსტიციის სახლის“ მიერ გამოცხადებულ აუქციონში, რომელიც საქართველოს მასშტაბით, იუსტიციის სახლებში, თვითმომსახურების ტერმინალების განთავსებას გულისხმობდა, გამარჯვებული კომპანიის სტატუსით შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ სარგებლობს. ხოლო 2018 წლიდან ჩვენი მოლარე-ოპერატორები ემსახურებიან მომხმარებლებს „საქართველოს გაფორმების ეკონომიკურ ზონას“. ამასთან უკვე მრავალი წელია მხარს ვუჭერთ მერიის/მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო საშუალების საგადახადო მომსახურებას, რაც მოიცავს თვითმომსახურების ტერმინალების საშუალებით, მგზავრებისთვის განსაზღვრული გადახდების (თანხების) მიღებას.

კომპანია, ასევე მხარდაჭერას უწევს სს „საქართველოს ბანკის“ თვითმომსახურების ტერმინალთა ქსელს.

სპეციალიზებული თვითმომსახურების ტერმინალები

2017 წლიდან შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიაში“ განხორციელდა ახალი პროექტი, რომლიც წარმოდგენილია სპეციალიზებული თვითმომსახურების ტერმინალების სახით. აღნიშნული ტერმინალები შექმნილია კომპანიებისთვის, რომელთაც დღის განმავლობაში დიდი ოდენობის თანხის ბრუნვა აქვთ, ნაღდი ანგარიშსწორებების სახით. სპეციალიზებულ ტერმინალებში დღის ბოლოს ნაღდი ფულის შეტანით, კომპანიებს შეუძლიათ თავიდან აირიდონ თანხების ინკასირებისა და ანგარიშზე განთავსების შედარებით ხანგრძლივი პროცედურა, დამატებით დაზოგონ ადამინური რესურსი და რაც მთავარია, მომენტალურად ასახონ დღის ბრუნვა საკუთარ საბანკო ანგარიშებზე.

დღეისათვის სპეციალიზებული ტერმინალებით სარგებლობენ საქართველოში არსებული ისეთი მსხვილი ბენზინგასამართი და გაზგასამართი სადგურების ქსელები, როგორიცაა:

- Gulf Georgia;
- სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი;
- ნეოგაზი;
- რომპეტროლ NV.

მოლარე-ოპერატორები

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიამ“, მომსახურების ხარისხის და სწრაფი სერვისის მიღებისთვის, ერთი ფანჯრის პრინციპის სერვისი შექმნა, რაც გულისხმობს მოლარე-ოპერატორების განთავსებას იუსტიციის სახლებში, სერვისების განვითარების სააგენტოებში, სამედიცინო დაწესებულებებში, შპს „ყაზტრანსგაზ თბილისის“ ოფისებში და ბათუმის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში.

ერთ-ერთი ასეთი პროექტია – საჯარო რეესტრში სახელმწიფო სერვისების ყველა ტიპის გადახდების მიღება. აღნიშნული პროექტი 2006 წელს დაიწყო და დღემდე წარმატებით გრძელდება.

2011 წელს რეგიონში არსებულ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში განთავსდა შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიას“ სალაროები. კომპანია უკვე ოპერირებს სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

რას ვსაქმიანობთ (გაგრძელება)

მოლარე-ოპერატორები (გაგრძელება)

ყველა კლინიკაში. პროექტის ფარგლებში, ქსელის გაფართოებასთან ერთად იგეგმება სალაროების ზრდაც.

2011 მარტიდან დღემდე, შპს „ბათუმის საერთაშორის საკონტეინერო ტერმინალში“ - შპს დაირექტ დებიტ ჯორჯიას“ სალაროების მეშვეობით ხდება საბაჟო მოსაკრებელის და სხვა სერვისების გადახდების მიღება.

2011 წლიდან დღემდე შპს „ყაზტრანსგაზ თბილისის“ ოფისებში, შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიას“ სალაროების მეშვეობით ხორციელდება მათი მომხმარებლებისათვის გაწერილი სერვისების გადახდების უზრუნველყოფა.

ჩვენი სერვისი არ კარგავს მოთხოვნადობას, რადგან მომხარებლებს სთავაზობ:

- 300-ზე მეტი პროვაიდერისათვის გადახდის მომსახურებას;
- მარტივ წვდომას ამ პროვაიდერებზე ტერმინალებისა და სხვა საგადახდო არხების მეშვეობით;
- მოსახერხებელი და მარტივი ინტერფეისი;
- ხელმისაწვდომი იჯარისა და მონტაჟის ხარჯები;
- მომხარებელთა მხარდაჭერისა და დახმარების 24/7 სერვისი;
- საგადახდო არხების ქსელის უწყვეტი მონიტორინგი;

გამოცდილება, ჩვენი პროექტები

2006 წელს შპს „მეტრო სერვის +“სა და თბილისის მეტროს შორის გაფორმდა კონტრაქტი, რომლის მიზანია მგზავრობის საფასურის მოკრების და ადმინისტრირების უზრუნველყოფა. პროექტის ფარგლებში „მეტრო სერვის+“–მა თბილისის მეტროს სერვისების და ინფრასტრუქტურის სრული მოდერნიზება განახორციელა, მათ შორის საბარათე გადახდების სისტემა დანერგა.

2009 წელს „მეტრო სერვის +“–მა კონტრაქტი თბილისის ავტობუსებთან გააფორმა, რომლის ფარგლებში 700 ავტობუსში 1400 სალარო აპარატი და GPS/GPRS მოდული დამონტაჟდა, დაინერგა მონაცემთა პარალელური გადაცემის სისტემა. პროექტი უზრუნველყოფს ავტობუსის GPS კოორდინატების გადაცემას სატრანსპორტო კომპანიის სერვერზე.

2009 წლიდან განხორციელდა ბარათების დატენვების ქსელის განვითარება (TOP UP) დაფუძნებული სწრაფი გადახდის აპარატებში დატენვის ინოვაციურ სისტემაზე. 1500 ტერმინალი თბილისშია განთავსებული, 1300 კი, რეგიონებში.

2009 წელს „მეტრო სერვის +“–მა კომპანია „მაგთი კომთან“ პირველი სოციალური სატრანსპორტო პროექტი განახორციელა სტუდენტებისთვის (ბალი ბარათი).

2011 წელს გაფორმდა 10 წლიანი ექსკლუზიური კონტრაქტი თბილისის მიკროავტობუსების მმართველ კომპანიებთან, რომლის ფარგლებში საბარათე სისტემის დანერგვა 2000–მდე მიკროავტობუსში განხორციელდა.

2011 წელს თბილისის მერიასა და სატრანსპორტო კომპანიასთან ერთად განხორციელდა მგზავრთა ვაუჩერიზაციის პროექტი, რომლის ფარგლებში 1,5 მლნ.–მდე მგზავრს სატრანსპორტო ბარათზე 5 ლარი დაერიცხა მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის მიზნით.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

რას ვსაქმიანობთ (გაგრძელება)

გამოცდილება, ჩვენი პროექტები (გაგრძელება)

2011 წელს სს ,,საქართველოს ბანკმა“ უნივერსალური ბარათი Express Card-ი სატრანსპორტო ფუნქციით გამოუშვა. აღნიშნული ბარათის მფლობელს აღარ სჭირდება სატრანსპორტო ბარათის შევსების პროცედურა, სამგზავრო თანხა ეჭრება უკვე საბანკო ანგარიშიდან, სადაც ხდება ხელფასის ან სხვა შემოსავლების ჩარიცხვა. გარდა ამისა, Express Card-ის მფლობელს შეუძლია გამოიყენოს ტრანსპორტში ბონუს ქულები, რომლებიც მან სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებაში დააგროვა.

2012 წელს საბარათე სისტემა დაინერგა „რიყე–ნარიყალას“ საბაგიროზე, ხოლო 2016 წელს კი, განახლებულ „ვაკე–კუსტბის“ საბაგიროზე.

2016 წელსვე 143 ახალ „მანი“–ს ტიპის ავტობუსში თანამედროვე ბარათების ვალიდატორების მონტაჟი მოხდა, ძველ „ბოგდან“–ის ტიპის ავტობუსებში კი, 130 ძველი სალარო აპარატი ახლით ჩაანაცვლდა.

2016 წელს მოსწავლეებისთვის უნივერსალური საბანკო ბარათი, Scool Card-ი გამოვიდა სატრანსპორტო ფუნქციით. ამავე წელს, სატრანსპორტო ფუნქციის მქონე უნივერსალური საბანკო „სტიკერები“ გამოვიდა.

2017 წლის იანვრიდან ახალი საბარათე სისტემაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალური ტრანსპორტიც გადავიდა, კერძოდ, 150 ავტობუსში თანამედროვე ბარათის ვალიდატორები დამონტაჟდა. გადახდების კონტროლის მიზნით, კონტროლიორებისა და კონდუქტორებისათვის სპეციალური მოწყობილობების გადაცემა მოხდა. მოეწყო თანამედროვედ აღჭურვილი სერვის ცენტრი, სადაც ხორციელდება როგორც სტანდარტული სამგზავრო ბარათების „ბათუმი ქარდი“–ს, ასევე პერსონიფიცირებული შეღავათიანი ბარათების გაცემა, რომლებზეც დაიტანება ბენეფიციარების ფოტო სურათი. მს+–ის სატრანსპორტო პროექტის ფარგლებში შექმნილი გადახდის სისტემა განიცდის მუდმივ ცვლილებებს, განახლებებს და ადაპტირებას. 2006 წლიდან დღემდე განხორციელდა 150–მდე განახლება და ცვლილება, მათ შორის სატარიფო სქემის ძირეული ცვლილებები:

- გასვლაზე დაფუძნებული ფასდაკლებების სისტემის დანერგვა;
- მგზავრობის ჯერადობაზე დაფუძნებული ფასდაკლების სისტემის დანერგვა;
- დროზე დაფუძნებული ფასდაკლების სისტემის დანერგვა.

,,მეტრო სერვის +“–ში განხორციელდა 20–მდე სხვადასხვა ტიპის ბარათის მხარდაჭერა, მგზავრთა სხვადასხვა კატეგორიისთვის, როგორც საბანკო ბარათების, ასევე ჩვეულებრივი სატრანსპორტო ბარათების ემისიის გზით. კომპანიის განკარგულებაშია მაღალკვალიფიციური ტექნიკური ჯგუფი, რომელიც უმოკლეს დროში უზრუნველყოფს თბილისის და ბათუმის მუნიციპალურ ავტობუსებში გადახდის მოწყობილობების ტექნიკურ მომსახურებას და დაზიანებებზე უსწრაფეს რეაგირებას. მეტრო სერვის პლიუსი მუდმივ და უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს მომსახურების ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებული პროცედურების დანერგვას.

2017 წელს, თბილისის მერიის მიერ საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემის მოდერნიზაციისთვის გამოცხადებულ ტენდერში სს „საქართველოს ბანკმა“ გაიმარჯვა. პროექტის ფარგლებში თბილისის მეტროში, ავტობუსებსა და საბაგირო გზებზე ყველა ტიპის ქართული და უცხოური ბარათით მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემა ამოქმედდა. მუნიციპალური ტრანსპორტი აღიჭურვა ახალი სალარო აპარატებით და ბარათის წამკითხველი ვალიდატორებით, ტესტირების პროცესშია სპეციალური მობილური აპლიკაციები მგზავრობის დაგეგმვისა და ბილეთების შეძენის ფუნქციებით. „მეტრო სერვის +“ როგორც ბანკის ქვეკონტრაქტორი კომპანია ტენდერის პირობების შესრულებაზე და შემდგომ ოპერირებაზეა პასუხისმგებელი, თუმცა პროექტის ფარგლებში მხარდაჭერას უწევს ჯგუფის ყველა წევრი: სს „ჯორჯიან ქარდი“, შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

რას ვსაქმიანობთ (გაგრძელება)

გამოცდილება, ჩვენი პროექტები (გაგრძელება)

სწორედ ჯგუფში შემავალი კომპანიების ერთობლივი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტის საფასურის გადახდის სისტემაში ჩაერთოს საერთაშორისო სისტემის, ყველა საბანკო ბარათი და შესაძლებელი იყოს სამგზავრო ბარათების შეძენა და ლიმიტის შევსება თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით.

2018 წლის ოქტომბრიდან თბილისის მეტროში, ავტობუსებსა და საბაგირო გზებზე ყველა ტიპის ქართული და უცხოური ბარათით მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემა ამოქმედდა.

მოკლე ფინანსური მიმოხილვა

სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ ჯგუფი შედის Bank of Georgia Group PLC -ს სტრუქტურაში, რომელიც ივაჭრება ლონდონის საფონდო ბირჟაზე. აქედან გამომდინარე, დამფუძნებლის მოთხოვნის შესაბამისად, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა დაარსებიდან ფასს სტანდარტებთან თანხვედრაშია. 2018 წელს მოხდა პირველი ფასს სტანდარტებთან შესაბამისად აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება და სააუდიტორო მომსახურება გაუწია შპს „იუაი საქართველომ“. 2018 წლის დეკემბერში, კომპანიამ შეცვალა აუდიტორული მომსახურების მომწოდებელი და აირჩია ნექსია თიეი. გამოქვეყნებული ანგარიშგება ასახავს 2018-2017 წლების ფინანსური მდგომარეობას. ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის მოკლე ფინანსური ინფორმაცია.

გაუწია შპს „იუაი საქართველომ“. გამოქვეყნებული ანგარიშგება ასახავს ბოლო სამი წლის ფინანსური მდგომარეობას. ქვემოთ წარმოდგენილია მოკლე ფინანსური ინფორმაცია ჯგუფის შესახებ.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	**2018**	**2017**
სულ აქტივები	**76,114**	**72,907**
ჯგუფის აქციონერებზე მიკუთვნებადი მთლიანი კაპიტალი	**36,829**	**32,255**
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელები	145	136
სულ კაპიტალი	**36,974**	**32,391**
სულ ვალდებულებები	**39,140**	**40,516**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**76,114**	**72,907**

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	**2018**	**2017**
სულ შემოსავალი	29,586	23,636
სულ საოპერაციო ხარჯები	(24,467)	(21,081)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	**5,119**	**2,555**
სხვა ფინანსური შედეგები	(536)	235
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	**4,583**	**2,790**
მოგების გადასახადის სარგებელი	-	-
წლის მოგება/(ზარალი)	**4,583**	**2,790**
სხვა სრული (ზარალი)/ შემოსავალი, რომელიც შემდეგ პერიოდებში რეკლასიფიცირდება მოგების ან ზარალის მუხლში		
- (ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან	-	(50)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**4,583**	**2,740**
განკუთვნილი:		
- მშობელი კომპანიის აქციონერებისთვის	4,574	2,731
- არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის	9	9

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

რას ვსაქმიანობთ (გაგრძელება)

მოკლე ფინანსური მიმოხილვა (გაგრძელება)

2018 წლის მონაცემებით სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ ჯგუფის კაპიტალი გაიზარდა 4,5 მილიონი ლარით (2017 - 2,7 მილიონი ლარით), ხოლო საერთო შემოსავლის ზრდამ 3,1 მილიონი ლარი შეადგინა 5,9 მილიონი ლარი (2017 - 3,1 მილიონი ლარი).

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა

სს „ჯორჯიან ქარდი“ სერტიფიცირებულია MaterCard, VISA, AmEx, Diners Club-ისა და Union Pay International-ის საგადამხდელო სისტემებთან.

მომხმარებელთა დაცვისა და საგადახადო უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, ასევე თაღლითობის ალბათობის მინიმუმამდე შესამცირებლად, ჯორჯიან ქარდი ფლობს EMV სტანდარტს როგორც კონტაქტური, ასევე უკონტაქტო ბარათებისთვის. სტანდარტი არის დამატებითი უსაფრთხოების საშუალება და ასევე, ამცირებს საბანკო თაღლითობასთან დაკავშირებულ ხარჯს მისი წევრი ბანკებისთვის.

სს „ჯორჯიან ქარდი“ საქართველოში ერთ–ერთ პირველ საპროცესინგო ცენტრს წარმოადგენს, რომელიც საგადახადო ბარათის ინდუსტრიის მონაცემთა დაცვის სტანდარტებს (PCI DSS) შეესაბამება.

2010 წლიდან დღემდე წარმატებით გადის გლობალური საგადამხდელო დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის აუდიტს. PCI DSS-ის პოლიტიკისა და პროცედურების რეგულარული და თანმიმდევრული დაცვა ხელს უწყობს სს „ჯორჯიან ქარდს“ იყოს წევრი ორგანიზაციების სანდო პარტნიორი, უზრუნველყოს უსაფრთხო ტრანზაქციების განხორციელება და დაიცვას ბარათის მფლობელები მათი მონაცემების არამიზნობრივად გამოყენებისაგან.

სს „ჯორჯიან ქარდი“ ასევე VISA PIN Security პროგრამის წევრია, რომლის აუდიტიც ამოწმებს ბარათის მფლობელის საიდენტიფიკაციო ნომრის (PIN) კრიპტოგრაფია/შიფრაციის გასაღებების და სხვა პირადი მონაცემების კონფიდენციალურობას საბარათე ოპერაციების შესრულების დროს. VISA PIN Security სერთიფიკატი ადასტურებს, რომ ინფრასტრუქტურა და სისტემაში ჩართული მოწყობილობების ექსპლუატაცია საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მიმდინარეობს.

ჩვენი საგადახდო სისტემა გამართულად ფუნქციონირებს და სამუშაო პროცესების უწყვეტობას უსაფრთხოების სტანდარტების და პროცედურების სრული დაცვით უზრუნველყოფს. სასერვეროების დისტანცირება და სისტემის/მონაცემების დუბლირების/შენახვის პროცედურები სრულ შესაბამისობაშია, როგორც საგადახდო სისტემების სტანდარტებთან, ასევე მსოფლიო წამყვანი ტექნოლოგიური და ინფორმაციული კომპანიების რეკომენდაციებთან.

სამომავლო გეგმები


შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ 2006 წლიდან აქტიურად ზრდის საგადახდო არხების რიცხვს, სამომავლოდ ვგეგმავთ მომსახურების არეალის გაზრდას მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა ტერიტორიული ერთეულის უზრუნველყოფას ისეთი სერვისებით, რომლებიც განუყოფელია ყოველდღიური ცხოვრებისაგან და მოსახლეობის უმრავლესობისათვის კომფორტის, უსაფრთხო და სწრაფი საგადახდო მომსახურების გარანტია.

ბოლო 5 წლის განმავლობაში საგადახდო არხების რაოდენობამ მოიმატა დაახლოებით 19%-ით, ამასთან წინა წლის თანხობრივი ბრუნვა გაორმაგდა ბოლო სამი წლის განმავლობაში. ჩვენი მიზანია ბიზნესის განვითარების პირობებში შევინარჩუნოთ აღნიშნული მაჩვენებლები, ხარისხისა და ეფექტურობის ზრდასთან ერთად.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

რას ვსაქმიანობთ (გაგრძელება)

სამომავლო გეგმები (გაგრძელება)





სს „ჯორჯიან ქარდშიც“ მუდმივად მიმდინარეობს სერვისების განახლება და ინოვაციების დანერგვა. ჩვენი მიზანია, ჩვენს სისტემაში ჩართული ყველა სუბიექტის მაქსიმალური დაცვა და მათთვის მარტივი და სრულყოფილი სერვისის გაწევა, ამისათვის ყოველ წელს გავდივართ უსაფრთხოებისა თუ სხვა აუდიტებს, გვსურს ყოველი ახალი პერიოდის დასაწყისისათვის შევეჭიდოთ უფრო და უფრო რთულ გამოწვევებს, და დავნერგოთ უფრო და უფრო მაღალი სტანდარტები.

სამომავლოდ ჯგუფი გეგმავს უფრო მრავალფეროვანი გახადოს კლიენტებისათვის შეთავაზებული სერვისების ჩამონათვალი, ასევე გააფართოვოს მომხმარებელთა წრე და მაქსიმალურად შეეცადოს, რომ ინოვაციური პროექტებით დააინტერესოს ბიზნესის ყველა სფერო.

რისკ-ფაქტორები

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და უცხოური ვალუტის კურსების მერყეობის შედეგად. ჯგუფს გააჩნია უმნიშვნელო სავალუტო რისკი.

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ყველა თავისი ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვას. ჯგუფის ლიკვიდურობის რისკს აანალიზებს და მართავს ხელმძღვანელობა. 2017 წლის 31 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება დასაფარი იყო 3 თვის ვადაში, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებები უტოლდებოდა მათ საბალანსო ღირებულებას.

ჯგუფი ყოველთვის ასრულებდა ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და არასდროს დამდგარა დეფოლტის წინაშე. ჯგუფი მომვალშიც შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

თაღლითობის პრევენცია

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მრავალფეროვანი ხდება დანაშაულის სახეებიც, ქონებრივი ზიანი შესაძლოა დადგეს თაღლითობის და მომხმარებელთა არაკეთილსინდისიერი ქცევის შედეგად.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

რას ვსაქმიანობთ (გაგრძელება)

ინფორმაციული უსაფრთხოება

21-ე საუკუნეში ყველა ბიზნესისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს მომატებული კიბერ შეტევები და ფიშინგის მცდელობები. დამნაშავეთა პრიორიტეტულ სამიზნეს წარმოადგენს საფინანსო სექტორი, შესაბამისად არ ვივიწყებთ მოსალოდნელ თავდასხმის მცდელობებს და ინფორმაციული უსაფრთხოების უმაღლეს სტანდარტებს ვაწესებთ ჯგუფის მასშტაბით. დაცვის მექანიზმები მოიცავს უახლეს და ცნობილ პროდუქტებს, რომელთა საშუალებით ხდება, როგორც შიდა ქსელის დაცვა გარე ზემოქმედებისგან, ისე სენსიტიური ინფორმაციის გაჟონვა ქსელის შიგნით.

არსებული მოწყობილობების მონიტორინგისათვის გამოიყენება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფები, რომლის მეშვეობითაც კონტროლდება ყოველი მოვლენა, რაც ხდება ჯგუფისთვის მნიშვნელოვან მოწყობილობებზე და მომხმარებლების პერსონალურ კომპიუტერებზე. ამასთან, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხშირად ტარდება თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების ტრენინგები, ამას გარდა ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია მკაცრად გაწერილი ინსტრუქციებით, როგორ მოიქცეს ნებისმიერ საეჭვო სიტუაციაში.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

ჯგუფში შემავალი ყველა კომპანია ცდილობს შესაბამისობაში იყოს საერთაშორისო ეთიკის სტანდარტებთან და გამორიცხოს ნებისმიერი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა.

ჩვენთან თანამშრომლობის პირველი წინაპირობაა პარტნიორთა საქმიანობაზე, რეპუტაციასა და არსებით დეტალებზე ძირფესვიანი მოკვლევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში მივმართავთ კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისთვის.

„ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ ჯგუფი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად ვთანამშრომლობთ მათთან და ვცდილობთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. დღემდე ამ კუთხით არ გამოვლენილა არც ერთი უკანონო შემთხვევა, რომელიც განხორციელდა ჩვენი საგადახდო არხების ან ჩვენი საქმიანობის ხელშეწყობით.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

ჯგუფის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმინობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე, კომპანიები წარმოადგენენ დამოუკიდებელ იურიდიულ პირებს, დამოუკიდებელი მმართველობითი ორგანოებით, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი რესურსების გაერთიანება მნიშვნელოვანი პროექტებისა და მისიების შესრულებისათვის. ჯგუფის მენეჯმენტზე უფლებამოსილი პირია - დირექტორი

დირექტორის მოკლე ბიოგრაფია

ირაკლი კოდუას მოღვაწეობა სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ ჯგუფში 2006 წლიდან იწყება. იგი ასევე იკავებს სს „ჯორჯიან ქარდსა“ და შპს “დაირექტ დებიტ ჯორჯიას“ დირექტორის პოსტებს 2016 წლიდან.


2011-2016 წლებში სს „ჯორჯიან ქარდის“, ხოლო 2014-2016 წლებში შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიას“ დირექტორის მოადგილეს წარმოადგენდა. მას აქვს საფინანსო სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება.

ირაკლი კოდუას მიღებული აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების ინჟინერისა და სამართალმცოდნის დიპლომები.

ჯგუფის სტრუქტურა

ჯგუფის მთავარი მიზანია ინვესტირება კომპანიებში, რომლებიც ჩართული არიან საქართველოში ელექტრონული გადახდების პლატფორმების განვითარებაში. ამისათვის ჯგუფის ფარგლებში ოპერირებს ოთხი კომპანია, ჰოლდინგის მთავარი დანიშნულება ამ კომპანიების მხარდაჭერაა.

ჯგუფში შემავალი კომპანიების მფლობელობითი სტრუქტურა შედეგნაირად გამოიყურება:



ჯგუფის პოლიტიკები

საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვასათვის, ჯგუფში შექმნილია პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. პოლიტიკებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა:

კორპორაციული მართვის ანგარიშგება (გაგრძელება)

ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს არსებული, პოტენციური და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების განსაზღვრის, მართვისა და აღკვეთის წესები. განმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში. კერძოდ:

- განსაზღვროს ის სიტუაციები, სადაც შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი;
- ჩამოაყალიბოს ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის, პრევენციისა და მართვის პროცედურები, მექანიზმები და სისტემები;
- დაიცვას ჯგუფის, მისი მომხმარებლების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და მომწოდებლების ინტერესები, კონფლიქტის აღმომფხვრელი შესაბამისი ზომების შემუშავებით;
- უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობა.

ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები/აკრძალვები:

- საქმიანობა დამსაქმებელი ჯგუფის გარეთ;
- ნათესაური კავშირები დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის;
- აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება;
- ნარკოდამოკიდებულება;
- პერსონალური ტრანზაქციები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ამავდროულად მათი პერსონალური მონაცემთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

ინფორმაციის კლასიფიკაციისა და მართვის პოლიტიკა

ინფორმაციული რესურსების გამოყენებაზე პრევენციული და დეტექციური კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა ინფორმაციის არქიტექტურული ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც გულისხმობს რისკების შეფასებაზე დაფუძნებული მიდგომით ინფორმაციის კლასიფიცირებას. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას, ინფორმაციისა და ინფორმაციული რესურსების დახარისხებას კონფიდენციალურობის დონის მიხედვით, წვდომისა და გამოყენების სხვა წესების შემუშავებას.

აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, ინფორმაცია იყოფა კონფიდენციალურობის ოთხ კატეგორიად, ესენია - ,, საჯარო“, ,,შიდა მოხმარების“, ,,კონფიდენციალური“ და ,, სრულიად საიდუმლო“. ინფორმაციის მართვა რეგულირდება, აღნიშნული დონეების მიხედვით და მოიცავს ინფორმაციის მარკირების, გადაადგილების, წვდომის მინიჭების, შენახვისა და განადგურების წესებს.

შეტყობინების მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელ ჯგუფში ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ოპერატიულად იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი ნებისმიერი შეუსაბამობა თუ დარღვევა. სწორედ ჯგუფში დასაქმებული ადამიანები არიან თვითმხილველნი მათ ირგვლივ არსებული დარღვევებისა. პოლიტიკის თანახმად, დამსაქმებელი უზრუნველყოფს განმცხადებელი პირის ანონიმურობას, მისი განცხადება განიხილება სრული პასუხისმგებლობით და კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება (გაგრძელება)

აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებებისა და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ აქციათა 100% ეკუთვნის სს „ბი ჯი ფაინანშიალს“. პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი მოწესრიგებულია საზოგადოების წესდებით, რომელიც წარმოადგენს საჯაროდ გამოქვეყნებულ დოკუმენტს.

აქციონერთა საერთო კრება საზოგადოების უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, უფლებამოსლია მართოს საზოგადოება, როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის საშუალებით.

არაფინანსური ანგარიშგება

ბიზნეს მოდელის მიმოხილვა

ჯგუფში შემავალი კომპანიები რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნულ ბანკში, როგორც საგადახდო სისტემის ოპერატორი და საგადახდო მომსახურების პროვაიდერები და შესაბამისად მისი ზედამხედველობის ობიექტებია. აღნიშნულ სექტორში სს „ჯორჯიან ქარდი“ წარმოადგენს ამიერკავკასიაში ერთ-ერთ წამყვან საპროცესინგო ცენტრს, საქართველოს მასშტაბით მას ამ სფეროს მხოლოდ ორი საგადახდო სისტემის ოპერატორი ჰყავს.

ხოლო, საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს შორის შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიას“ საქმიანობის მასშტაბურობიდან გამომდინარე მოწინავე პოზიციები უკავია. აღსანიშნავია, რომ მის მიერ შემოთავაზებული სერვისები გამოირჩევა მრავალფუნქციურობითა და ინოვაციურობით. მხოლოდ შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიას“ ტერმინალების საშუალებითაა შესაძლებელი საბანკო ბარათებით გადახდის განხორციელება, ამასთან, მომხმარებლებს სატრანსპორტო ბარათების ლიმიტის შევსება მხოლოდ ჩვენი კიოსკებისა და მოლარეების საშუალებით შეუძლიათ. 2018 წლის მონაცემებით თვითმომსახურების ტერმინალების რიცხვმა მიაღწია 2500-ს.

რაც შეეხება, შპს „მეტრო სერვის+“-ს მის მიერ მოგებულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემის მოდერნიზაციისთვის გამოცხადებულ ტენდერს, მას 10 წლიანი აქტუალობის წინაპირობა გააჩნია.

თანამედროვე საგადახდო სისტემის ფარგლებში, ჯგუფის მიერ გატარებული ინოვაციური რეფორმები სისტემატიურ ხასიათს ატარებს, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იზრდება საქმინობის სპექტრიც, სწორედ ამიტომ არ კარგავს აქტუალობას სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ და მასში შემავალი კომპანიები.

ჩვენი გუნდი

2018 წლის მონაცემებით ჯგუფის ფარგლებში დასაქმებულია საშუალოდ 700-მდე თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან, ჩვენ არჩევანს ვაკეთებთ ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. ჯგუფის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამინური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. ჩვენი თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომლის გამოვლენას ვცდილობთ ადექვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

ჩვენ ვიაზრებთ და ვიღებთ ჩვენ წილ პასუხისმგებლობას ჩვენი დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც ვითხოვთ კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს ჩვენი შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

არაფინანსური ანგარიშგება (გაგრძელება)

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმინობის დაწყებიდან დღემდე ჯგუფში შემავალი კომპანიების მიმართ მხოლოდ ერთხელ აღიძრა საქმე შრომით დავასთან დაკავშირებით. ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი თანამშრომლები ჩვენი წარმატების საწინდარია, ამიტომ ვცდილობთ განურჩევლად ყველას შევუქმნათ თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია, რომ მკაცრად ვიცავთ ჩვენი თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია. სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ ჯგუფში შემავალი კომპანიების ხელთ არსებულ პერსონალურ მონაცემთა კატალოგების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პეროსნალურ მონაცემთა დაცვის აპარატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, ჩვენ ვცდილობთ საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გავითავისოთ და შევუქმნათ ჩვენს თანამშრომლებს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო შრომისათვის.

ჯგუფში შემავალი კომპანიების შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

კორუფციასთან ბრძოლა

ჯგუფის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. ჩვენ მაქსიმალურად მკაცრად ვაფასებთ ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა ჯგუფისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

ამ სფეროს დასარეგულირებლად ჯგუფი იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და ჯგუფის მიერ მიერ თუ ჯგუფში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი და ფინანსური ანგარიშგების წარდგენაზე პასუხსიმგებელია მართვაზე უფლებამოსილი პირი - გენერალური დირექტორი.

არაფინანსური ანგარიშგება (გაგრძელება)

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმინობის დაწყებიდან დღემდე ჯგუფში შემავალი კომპანიების მიმართ მხოლოდ ერთხელ აღიძრა საქმე შრომით დავასთან დაკავშირებით. ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი თანამშრომლები ჩვენი წარმატების საწინდარია, ამიტომ ვცდილობთ განურჩევლად ყველას შევუქმნათ თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია, რომ მკაცრად ვიცავთ ჩვენი თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია. სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ ჯგუფში შემავალი კომპანიების ხელთ არსებულ პერსონალურ მონაცემთა კატალოგების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პეროსნალურ მონაცემთა დაცვის აპარატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, ჩვენ ვცდილობთ საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გავითავისოთ და შევუქმნათ ჩვენს თანამშრომლებს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო შრომისათვის.

ჯგუფში შემავალი კომპანიების შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

კორუფციასთან ბრძოლა

ჯგუფის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. ჩვენ მაქსიმალურად მკაცრად ვაფასებთ ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა ჯგუფისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

ამ სფეროს დასარეგულირებლად ჯგუფი იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და ჯგუფის მიერ მიერ თუ ჯგუფში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი და ფინანსური ანგარიშგების წარდგენაზე პასუხსიმგებელია მართვაზე უფლებამოსილი პირი - გენერალური დირექტორი.

